საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 226 (246) სამშაბათი, 19 ნოემბერი, 1991 წელი. ფასი 10 კაპიკი

სსრ კავშირის პრეზიდენტს ბატონ მ. ს. გორბაჩოვს

ბატონო პრეზიდენტო!

ამ ბოლო ხანს, როცა უკვე დაისახა შიდა ქართლში (ყოფილი სამხრეთ ოსეთი) კონფლიქტის მოწესრიგების გზები, ამ რეგიონში დისლოცირებულმა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანმა ჯარებმა დაიწყეს საბრძოლო ოპერაციები ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ.

15 ნოემბერს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფები ოს ექსტრემისტებთან ერთად შვიდი საათის განმავლობაში ინტენსიურ ცეცხლს უშენდნენ ქართულ სოფლებს ზემო ნიქოზსა და ქვემო ნიქოზს სარაკეტო დანადგარების, ნაღმსატყორცნების, ჯავშანტრანსპორტიორებისა და ავტომატური იარაღის მეშვეობით. დაინგრა სახლები, არიან დაჭრილები.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა მტკიცე პროტესტს აცხადებს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების არამართლზომიერი მოქმედების გამო და ამგვარი სადამსჯელო აქციები სუვერენული საქართველოს წინააღმდეგ აგრესიის გაგრძელებად მიაჩნია.

თუ ზემოხსენებული ჯარები კვლავაც გამოიყენებენ იარაღს მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, მთელი პასუხისმგებლობა კონფლიქტის შემდგომი გამწვავებისათვის მთლიანად თქვენ დაგეკისრებათ.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 17 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების სახელმწიფო დეპარტამენტის შექმნის შესახებ

1. გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი და მის ბაზაზე შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების სახელმწიფო დეპარტამენტი;
2. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების სახელმწიფო დეპარტამენტი დაექვემდებაროს უშუალოდ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 18 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბრძანებულება

თ. ვ. ნინუას საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს თამაზ ვახტანგის ძე ნინუა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 18 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ

1. გარდაიქმნას საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის კომიტეტი საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის სახელმწიფო კომიტეტად;
2. დაინიშნოს აკაკი გრიგოლის ძე რეხვიაშვილი საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 18 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბრძანებულება

თ. ე. ყურავას ხარაგაულის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს თემურ ერასტის ძე ყურავა ხარაგაულის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 18 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბრძანებულება

გ. პ. თავზარაშვილის ხარაგაულის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს გივი პავლეს ძე თავზარაშვილი ხარაგაულის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 18 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს პრეზიდიუმის

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული საბჭოთა არმიის იარაღის, საბრძოლო მასალის, მიმოსვლის საშუალებების, სამხედრო ტექნიკის, სამხედრო ბაზებისა და სხვა სამხედრო ქონების საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა და საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრომ დაუყოვნებლივ შექმნან საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული საბჭოთა არმიის იარაღის, საბრძოლო მასალის, მიმოსვლის საშუალებების, სამხედრო ტექნიკის, სამხედრო ბაზებისა და სხვა სამხედრო ქონების საინვენტარიზაციო კომისია.

საინვენტარიზაციო კომისიამ აღკვეთოს რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული საბჭოთა არმიის იარაღის, საბრძოლო მასალების, მიმოსვლის საშუალებების, სამხედრო ტექნიკის და სხვა სამხედრო ქონების გატანა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
აკაკი ასათიანი.

თბილისი. 1991 წლის 15 ნოემბერი.

მიტინგი მთავრობის სახლთან

შიდა ქართლში შექმნილი დაძაბული მდგომარეობის განხილვა იყო 18 ნოემბერს მთავრობის სახლთან გამართული მიტინგის მთავარი საკითხი, ამასთან, მიტინგზე გამოსულებმა — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატებმა ვახტანგ ჭითავამ, ავთანდილ რცხილაძემ, თემურ ქორიძემ, შინაგან საქმეთა მინისტრმა დილარ ხაბულიანმა და სხვებმა საზოგადოებრიობის ყურადღება მიაპყრეს საქართველოში შექმნილ მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებას. აღინიშნა, რომ სიტუაციის დაძაბვას ხელს უწყობენ რესპუბლიკაში მოქმედი დესტრუქციული ძალები, რომლებიც თავიანთ თავს ოპოზიციას უწოდებენ, სინამდვილეში კი კრიმინალური დაჯგუფებები არიან, ძირს უთხრიან საქართველოს სრული და საბოლოო დამოუკიდებლობის მიღწევის რეალურ გზებს.

ამ უაღრესად მძიმე და მტკივნეულ პრობლემებზე გაამახვილა ყურადღება თავის გამოსვლაში საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ. მან აღნიშნა, რომ დღეს, როცა ასე უჭირს ქართველ კაცს შიდა ქართლში, თბილისის ზღვაზე დაბანაკებულ დანაშაულებრივ შეიარაღებულ ბანდებს დიდძალი იარაღი აქვთ ხელში ჩაგდებული. ეს იარაღი უნდა ხმარდებოდეს ქართული მიწის გათავისუფლებას, სინამდვილეში კი ხელისუფლების წინააღმდეგ არის მიმართული.

პრეზიდენტმა აცნობა შეკრებილთ, რომ იქმნება მოხალისეთა რაზმები შიდა ქართლში გასაგზავნად, და ყველას, ვისაც იარაღის ხმარება შეუძლია, მოუწოდა გაერთიანდნენ ამ რაზმებში. რესპუბლიკის ყველა რეგიონში დაინიშნებიან პრეზიდენტის რწმუნებულები, რომლებიც საზოგადოებას და ადგილობრივ ხელისუფლებას დაეხმარებიან გაზრდილ დამნაშავეობასთან ბრძოლაში.

შეეხო რა ჩეჩნეთ-ინგუშეთის რესპუბლიკასთან ურთიერთობის საკითხებს, პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ კონტაქტები მეზობელ რესპუბლიკასთან ძლიერდება. იქმნება სრულიად კავკასიის ანტიიმპერიალისტური დაჯგუფება, რომელიც გაერთიანებული ძალებით იბრძოლებს კავკასიის საქმეებში პროვოკაციული ჩარევის წინააღმდეგ.

მიტინგზე მიიღეს ქართველი ჯარისკაცების დედათა კომიტეტის რეზოლუცია საბჭოთა კავშირის პრეზიდენტ მიხეილ გორბაჩოვისა და საბჭოთა კავშირის ჯარისკაცების დედათა კომიტეტის სახელზე.

საქინფორმი.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

სსრ კავშირის პრეზიდენტს მ. ს. გორბაჩოვს სსრ კავშირის ჯარისკაცთა დედების კომიტეტს

თბილისში 1991 წლის 18 ნოემბერს გამართული მიტინგის რეზოლუცია, რომელიც შემოტანილია საქართველოს ჯარისკაცთა დედების კომიტეტის სახელით

1991 წლის 15-16 ნოემბერს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარები ოს ექსტრემისტებთან ერთად რამდენიმე საათის განმავლობაში ცეცხლს უშენდნენ ქართულ სოფლებს შიდა ქართლში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი). გამოიყენეს მრავალი სახეობის ცეცხლსასროლი იარაღი. არიან დაჭრილები, დაზიანებულია საცხოვრებელი სახლები. ეს არის მორიგი „გმირობა", რომელიც გამოიჩინა ცენტრმა მიმდინარე წელს მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ.

მთელი მსოფლიოსათვის, და მითუმეტეს — კავკასიის ხალხებისათვის, ცნობილია, რომ ოსი ექსტრემისტების წაქეზებითა და მათი სამხედრო ტექნიკითა და ცოცხალი ძალის დახმარებით, ცენტრი იწვევს გამოუცხადებელ ომს სუვერენული საქართველოს წინააღმდეგ, რომელსაც არ სურს შეუერთდეს სამოკავშირეო ხელშეკრულებას. კავკასიის ხალხები, რომლებიც თავიანთი დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან, ამ ომში ხედავენ ბოლშევიკების მიერ 1918 წელს განხორციელებული პოლიტიკის გაგრძელებას, და არასდროს არ მოიწონებენ ამას. კავკასიის ხალხების სანუკვარი ოცნებისადმი — თავისუფლების მოპოვებისადმი — ცენტრის დაპირისპირების შედეგები შეიძლება ტრაგიკული აღმოჩნდეს. ამჟამად ეს იგრძნობა მეტად, ვიდრე ოდესმე, და ჩვენ, ქართველი დედები დიდად ვართ შეშფოთებული ჩვენს მიწა-წყალზე მიმდინარე მოვლენების გამო.

ვითვალისწინებთ რა საქართველოში და მთლიანად კავკასიაში ვნებათაღელვის ახლანდელ გამწვავებას, მოვუწოდებთ ყველა დედას — შეიგნონ, რომ ეს ჩვენი საერთო უბედურებაა, საერთო სატკივარია! ჩვენი დუმილი არის ცენტრისადმი მსხვერპლის შეწირვის ტოლფასი მისი უტოპიური მისწრაფებების საამებლად. სასიკვდილო საფრთხე ემუქრება ჩვენს შვილებს, ძმებს, ქმრებს.

მშვიდობისა და ნათელი მომავლისათვის მოგიწოდებთ თავიანთ წინაპართა მიწაზე ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ხალხების საქმეში ცენტრის ჩაურევლობისათვის ბრძოლაში სოლიდარობისაკენ.

მიღებულია ერთხმად თბილისში ა. წ. 18 ნოემბერს მთავრობის სახლთან გამართული მრავალათასიანი მიტინგის მონაწილეების მიერ.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტთან არსებული ელექტროენერგიის რაციონალურ გამოყენებასა და შეზღუდვებზე ზედამხედველობის შტაბის შექმნის შესახებ

1. საქართველოში ელექტროენერგიის რაციონალურად გამოყენებასა და შეზღუდვებზე კონტროლის დაწესების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტთან შეიქმნას შტაბი შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე

ვლადიმერ რევაზის ძე ხუციშვილი — გაერთიანება „საქენერგოექსპლუატაციის" ელექტროენერგიის დანაკარგების ანალიზისა და კოორდინაციის სამსახურის ინჟინერი.

თავმჯდომარის მოადგილე

რომან ზვიადის ძე დვალი — გაერთიანება „საქენერგოექსპლუატაციის" ელექტროენერგიის დანაკარგების ანალიზისა და კოორდინაციის სამსახურის უფროსის მოადგილე.

წევრები:

ბეჟან იოსების ძე ხუციშვილი — „თელასის" სარელეო დაცვის სამსახურის უფროსი.

ბონდო სერგოს ძე ნოზაძე — გაერთიანება „საქენერგოექსპლუატაციის" მარნეულის ელქსელების მთავარი ინჟინრის მოადგილე.

გია ვახტანგის ძე მოდებაძე — გაერთიანება „საქენერგოექსპლუატაციის" თელავის ელქსელების სარელეო დაცვის და ავტომატიკის სამსახურის უფროსი.

გიორგი ვლადიმერის ძე კალანდაძე — გაერთიანება „საქენერგოექსპლუატაციის" ცენტრალური სარელეო სამსახურის წამყვანი ინჟინერი.

გიორგი ნოდარის ძე კილაძე — გაერთიანება „საქენერგოექსპლუატაციის" ჰიდროტექნიკური სამსახურის ინჟინერი.

ზურაბ კალისტრატის ძე ბირიტაშვილი — გაერთიანება „საქენერგოექსპლუატაციის" ქუთაისის ელქსელების მთავარი ინჟინრის მოადგილე.

დავით ერმილეს ძე ჩილაჩავა — გაერთიანება „საქენერგოექსპლუატაციის" ზუგდიდის ელქსელის ქ. ზუგდიდის სარეალიზაციო უბნის უფროსი.

დავით მალხაზის ძე იმნაძე — გაერთიანება „საქენერგოექსპლუატაციის" თბოტექნიკური დანადგარების ექსპლუატაციის სამსახურის ინჟინერი.

ვახტანგ არჩილის ძე დარჯანია — გაერთიანება „საქენერგოექსპლუატაციის" აფხაზეთის ელქსელის მთავარი ინჟინრის მოადგილე.

იაგო შოთას ძე ჭიაბრიშვილი — გაერთიანება „საქენერგოექსპლუატაციის" ენერგოზედამხედველობის დირექტორის მოადგილე.

ნოდარ ამირანის ძე ჭიჭინაძე — გაერთიანება „საქენერგოექსპლუატაციის" კომუნალური ქსელების სამსახურის უფროსის მოადგილე.

ნუგზარ შამშეს ძე ლეჟავა — საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის მინისტრის მოადგილე.

ნუგზარ გრიგოლის ძე მამალაძე — გაერთიანება „საქენერგოექსპლუატაციის" ენერგოზედამხედველობის აჭარის საოლქო განყოფილების უფროსის მოადგილე.

ოლეგ ალექსანდრეს ძე გოგუა — საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის სამინისტროს ტექნიკური ინსპექციის ინსპექტორი.

რომანოზ ანთიმოზის ძე ესვანჯია — საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის მინისტრის მოადგილე.

რომან ვალერიანის ძე გურგენიძე — საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის მინისტრის მოადგილე.

სოსო შალვას ძე თიკარაძე — გაერთიანება „საქენერგოექსპლუატაციის" ცენტრალური სარელეო სამსახურის უფროსი.

ჯაბა გრიგოლის ძე ქერიძიშვილი — გაერთიანება „საქენერგოექსპლუატაციის" ცენტრალური ელქსელების დირექტორი.

ჯემალ ალექსანდრეს ძე ჩიხლაძე — გაერთიანება „საქენერგოექსპლუატაციის" შიდა ქართლის ელქსელის სადისპეტჩერო სამსახურის უფროსი.

2. დაევალოს ელექტროენერგიის რაციონალურ გამოყენებასა და შეზღუდვებზე ზედამხედველობის შტაბს:

კონტროლი გაუწიოს ელექტროენერგიის რაციონალურად ხარჯვისა და მთავრობის მიერ დამტკიცებული შეზღუდვების გრაფიკების დაცვას;

მოაწყოს რეიდები ენერგომომხმარებელთა მიერ დარღვევათა გამოსავლენად;

კოორდინაცია გაუწიოს საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის სამინისტროსთან შექმნილი შტაბის მუშაობას და მკაცრი კონტროლი დააწესოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიერ 1991-1992 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ელექტროენერგიის წარმოებასა და მოხმარების ოპტიმალურ რეგულირებაზე, სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებისა და მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგების უზრუნველყოფაზე, ოპერატიულად განიხილოს დარღვევათა ყოველი ფაქტი და განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები მათ აღმოსაფხვრელად.

3. ქ. თბილისის მერმა, ქალაქებისა და რაიონების პრეფექტებმა, სამინისტროების, უწყებების, სახელმწიფო და კერძო წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებმა ყოველმხრივ ხელი შეუწყონ შტაბის მუშაობას, დაუყოვნებლივ შეასრულონ მისი ყველა მოთხოვნა ელექტროენერგიის რაციონალურად გამოყენებასა და შეზღუდვებთან დაკავშირებით; ამასთან, ოპერატიულად გადაწყვიტონ შტაბის მიერ დასმული ყველა საკითხი.

4. საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებმა, გაერთიანებებმა, ორგანიზაციებმა და სხვა, კერძო თუ საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, განუხრელად დაიცვან საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის სამინისტროს მიერ შემუშავებული და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული 1991-1992 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის ელექტროენერგიის მოხმარების ლიმიტები და მოსალოდნელი შეზღუდვის გრაფიკები.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 14 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის გამოყენების ახალი შესაძლებლობანი

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რესპუბლიკის მთიანი რეგიონების სოციალური და საწარმოო ინფრასტრუქტურის დარგებში ეკოლოგიურად სუფთა სპეციალური ტრანსპორტის პროგრესულ სახეობათა — საბაგირო და მონორელსური ტრანსპორტის საერთაშორისო მოთხოვნების დონეზე შექმნას და ფართოდ დანერგვას და ამ პრიორიტეტული მიმართულებით საზღვარგარეთის ქვეყნებთან საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებას. ამის გათვალისწინებით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა დაავალა საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს, ტრანსპორტის სამინისტროს და მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროს, 1992 წლისა და შემდგომი წლების პროგნოზში გაითვალისწინონ დაინტერესებულ საზღვარგარეთის ქვეყნებთან ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და სავაჭრო თანამშრომლობის ურთიერთხელსაყრელ პირობებში განსახორციელებელი ღონისძიებანი.

საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროს სპეციალური ტრანსპორტის რესპუბლიკურ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება (რსსგ) „საქსპეცტრანსს" დაევალა ორი თვის ვადაში შეიმუშაოს და წარმოადგინოს საზღვარგარეთის ქვეყნებისათვის ავტომატიზებული საბაგირო და მონორელსური ტრანსპორტის შექმნის, დანერგვისა და სერვისული ტექნიკური მომსახურების სამუშაოთა სრული ციკლის კომპლექსურად შესრულების კონცეფცია;

საქართველო-თურქეთის პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური სიმპოზიუმების „ინტერბაგირგზა-91" და „ინეკოსპეცტრანსი-91" მონაწილე თურქეთის ვილაიეთებისა და ქალაქების გუბერნატორთა, მუნიციპალიტეტების თავმჯდომარეთა და ბიზნესმენთა მიერ დაყენებული წინადადების შესაბამისად „საქსპეცტრანსმა" ორი თვის ვადაში უნდა შეიმუშაოს თურქეთის შავიზღვისპირა მთიანი რეგიონებისათვის საბაგირო ტრანსპორტის დაპროექტებისა და მშენებლობის პროგრამის პროექტი 1992 წლისა და შემდგომი წლებისათვის;

ართვინის (თურქეთი) მუნიციპალიტეტის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისადმი თხოვნის შესაბამისად ამ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებას დაევალა ორი თვის ვადაში დაამუშაოს ქალაქ ართვინისა და მისი მიმდებარე სამთო კურორტის „კაფკასორის" საბაგირო ტრანსპორტის განვითარების სქემა 1992 წლისა და შემდგომი წლებისათვის და მშენებლობის პირველი რიგის წინასაპროექტო ტექნიკურ-ეკონომიკური სამუშაო დასაბუთება; მანვე ასევე ორი თვის ვადაში უნდა წარმოადგინოს ეკონომიკური დასაბუთება ქალაქ ართვინში სამგზავრო ბაგირგზების დამუშავების, დანერგვისა და სერვისული ტექნიკური მომსახურების ერთობლივი საწარმოს „ინტერბაგირგზის" შექმნის შესახებ, რომლის მთავარი დამფუძნებლები არიან რესპუბლიკური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქსპეცტრანსი", მთიანი რაიონების განვითარების ხელშემწყობი მრავალდარგოვანი ასოციაცია „ბორჯომი" და ქალაქ ართვინის მუნიციპალიტეტი.

შავიზღვისპირა სახელმწიფოების დაინტერესებული სოციალური და საწარმოო ინფრასტრუქტურის დარგების გაერთიანებებთან და ფირმებთან შეთანხმებით „საქსპეცტრანსმა" სამი თვის ვადაში უნდა მოამზადოს წინადადება სპეციალური ტრანსპორტის, მცირე მექანიზაციისა და წარმოების ავტომატიზაციის ურთიერთხელსაყრელ პირობებში დამუშავების, დანერგვისა და ტექნიკური მომსახურების უზრუნველყოფი საერთაშორისო ასოციაცია „ინეკოსპეცტრანსის" დაფუძნების შესახებ. მანვე უნდა გააგრძელოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დავალებით დაწყებული მოლაპარაკებანი საფრანგეთის, შვეიცარიის, გერმანიის, ჩეხოსლოვაკიისა და ბულგარეთის შესაბამის ფირმებთან მოწყობილობათა დამამზადებელ ერთობლივ საწარმოთა შექმნის შესახებ.

საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს საგარეო-სავაჭრო გაერთიანება „საქიმპექსს", საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატას, საბაჟო სამმართველოს და საგარეო ეკონომბანკს დაევალათ საჭირო დახმარება აღმოუჩინონ რესპუბლიკურ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქსპეცტრანსს" საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებასთან დაკავშირებული საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტის საქმეში.

საქინფორმი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს მინისტრთა კაბინეტისაგან

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს მინისტრთა კაბინეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი, შოთა რუსთაველისა და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი, საქართველოს რესპუბლიკის სახალხო არტისტი, პროფესორი

სულხან თევდორეს ძე ცინცაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა შექმნა საქართველოს სახალხო არტისტის ს. თ. ცინცაძის დამკრძალავი კომისია, საქართველოს რესპუბლიკის კულტურის მინისტრის გ. კალანდაძის თავმჯდომარეობით.

საზღვარგარეთ

სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ლევონ ტერ-პეტროსიანი და საგარეო საქმეთა მინისტრი რაფი ოვანესიანი 50 წუთი ესაუბრნენ შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს. შეხვედრას ესწრებოდნენ ვიცე-პრეზიდენტი დენ კუეილი, თეთრი სახლის აპარატის ხელმძღვანელი, ჯონ სუნუნუ. მოგვიანებით ტერ-პეტროსიანმა დიდი კმაყოფილება გამოთქვა პრეზიდენტთან შეხვედრის გამო და აღნიშნა, სომხეთის რესპუბლიკის ცნობა ვაშინგტონის მიერ უკვე დროის საქმეაო. თავის მხრივ ჯორჯ ბუშმა განაცხადა, მომავალი წლის დამდეგს ერევანში შეერთებული შტატების საკონსულო გაიხსნებაო. შეხვედრის დროს აგრეთვე განიხილეს აზერბაიჯანთან ურთიერთობის საკითხი. შეგახსენებთ, რომ შეერთებულ შტატებში ერთ მილიონამდე სომეხი ცხოვრობს, რომელთა დიდი უმრავლესობა სომხეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის მომხრეა.

ბრიტანული გაზეთის „დეილი ტელეგრაფის" აზრით, საბჭოთა კავშირმა პრაქტიკულად პლატინის მთელი მარაგი შვეიცარიის ბანკებში მოათავსა და ამის ინიციატივა ყოფილ პრემიერ რიჟკოვს ეკუთვნოდა. გაზეთის აზრით აგვისტოს პუტჩამდე განხორციელებული ამ ოპერაციის მიზანი იყო მსოფლიო ბაზარზე პლატინის ფასის დაწევა. მართლაც, წერს გაზეთი, წლის დამდეგს, ერთი უნცია პლატინის ფასი თუ 416 დოლარი იყო, ახლა 360 დოლარია.

რადიოსადგური ბი-ბი-სი იუწყება, რომ რამდენიმე თვის ძლიერი იერიშის შემდეგ ფედერალურმა არმიამ შეაღწია ხორვატთა ქალაქ ვუკოვარის ცენტრში. რადიოსადგურის ცნობით, მიუხედავად ამისა, დაახლოებით 1500 ხორვატი ქალაქში და მის გარეუბანში ბრძოლას აგრძელებს. იუწყებიან, რომ ვუკოვარში ჩავიდა ევროპის თანამეგობრობის კომისია, რომელმაც ქალაქიდან მოსახლეობის ევაკუაციას უნდა უთვალთვალოს.

პეკინში ყოფნის შემდეგ სამშობლოში მიმავალმა შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯეიმს ბეიკერმა აღნიშნა, ჩინეთის ხელისუფლებთან შეხვედრიდან უფრო მეტს მოველოდიო. სახელმწიფო მდივანმა ხაზი გაუსვა, რომ ამ ქვეყანაში კვლავ ირღვევა მოქალაქეთა უფლებები.

უკრაინის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ლეონიდ კრავჩუკმა ზაპოროჟიეში ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს აღნიშნა, რომ გაის ზაფხულს უკრაინა აპირებს თავისი კოსმოსური ექსპედიციის გაშვებას. კრავჩუკმა ხაზი გაუსვა, რომ ეს ექსპედიცია მხოლოდ უკრაინის ეროვნულ ინტერესებს მოემსახურება.

რადიოსადგურ „რუსეთის" ცნობით საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთ რაიონებში მკაცრი ზამთარი იქნება. უკვე დღეს 600-ათასიანი ქალაქი ხაბაროვსკი რამდენიმე კვირაა აბსოლუტურად არ თბება. არის გაყინვით ადამიანთა დაღუპვის რამდენიმე შემთხვევა. ყინვის გაძლიერების შემთხვევაში, თუ ქალაქის თბომეურნეობა არ მოწესრიგდა, ხაბაროვსკს კატასტროფა მოელის, დასძენს რადიოსადგური „რუსეთი".

15-17 ნოემბერს ნოვოჩერკასკში ჩატარდა თერგის, დონისა და ყუბანის კაზაკთა ყრილობა. მათ სურვილი აქვთ შექმნან კაზაკთა რესპუბლიკა, რომელიც რუსეთის შემადგენლობაში იქნება. ყრილობაზე განაცხადეს, რომ ინგუშოსების კონფლიქტის შემთხვევაში ისინი ოსების მხარეს დაიჭერენ. თერგის კაზაკთა გროზნოს განყოფილების ატამანმა გიორგი გალკინმა თქვა, რომ „ჩეჩნეთის რუსეთიდან გამოყოფისა და ჩეჩნეთის ისლამური რესპუბლიკის შექმნის შემთხვევაში არც ერთი რუსი აქ არ დარჩებაო".

ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა დანიშნა:

თენგიზ აკაკის ძე ზაუტაშვილი — საქართველოს რესპუბლიკის სპეციალიზებული სახელმწიფო კომერციული აგროსამრეწველო ბანკის — საქაგრომრეწვბანკის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად;

ლოლა დავითის ასული რობაქიძე — საქართველოს რესპუბლიკის სპეციალიზებული სახელმწიფო კომერციული სამრეწველო-სამშენებლო ბანკის — საქმრეწვმშენბანკის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად;

ჰამლეტ პალიკოს ძე გრიგოლია — საქართველოს რესპუბლიკის სპეციალიზებული სახელმწიფო კომერციული საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სოციალური განვითარების ბანკის — საქბინსოცბანკის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად.

საქინფორმი.

დიქტატურა თუ დემოკრატია?

გასული კვირის გაზეთში „დრონი" (№ 43) ბატონებმა დ. ბერძენიშვილმა, ზ. ჟვანიამ და ი. ხაინდრავამ თავიანთ მიმართვაში რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ყველა პოლიტიკური ორგანიზაციისადმი საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარება ფრიად შავ ფერებში წარმოგვიდგინეს. მათი აზრით, უკვე აღარავისათვის უნდა იყოს საიდუმლო, რომ: „...საქართველოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების უკლებლივ ყველა სფერო ღრმა კრიზისმა მოიცვა. ერი გახლეჩილია ორად, დამნაშავეობამ და კორუფციამ არნახულ დონეს მიაღწია, ეკონომიკა კატასტროფის წინაშე დგას, შეიარაღებული კონფლიქტი შიდა ქართლში შემდგომი ესკალაციის გზით ვითარდება. არ არის პერსპექტივები საქართველოს საერთაშორისო აღიარების საქმეში".

სურათი მართლაც შემაძრწუნებელი იქნებოდა, ყველაფერი ეს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოსათვის დამახასიათებელი, მისი საბედისწერო წილხვედრი რომ იყოს. მაგრამ განა ვინმესათვის ნათელი არაა, რომ ანალოგიურ მდგომარეობაში ამჟამად, მეტ-ნაკლები სხვაობით, პრაქტიკულად ყველა რესპუბლიკა იმყოფება, უზარმაზარ საბჭოთა იმპერიაში რომ შედიოდა სულ ცოტა ხნის წინათ? ან იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ მეტად „დემოკრატიული" რესპუბლიკური თუ საქალაქო ხელისუფლების არსებობამ მოსკოვში გასტრონომიული მაღაზიები ნაირფერი სურსათ-სანოვაგით აავსო, ხოლო ლენინგრადის სანკტ-პეტერბურგად აღზევებამ იქ ყველა დამნაშავე ერთბაშად ფრთაშესხმულ ანგელოზად გადააქცია?

რა თქმა უნდა, უაღრესად მტკივნეულია ყველასათვის, ვინც არ უნდა იყოს ის, — ქართველი თუ ოსი, — შეიარაღებული კონფლიქტის ესკალაცია შიდა ქართლში. მაგრამ ძმათა შორის კონფლიქტი განა მხოლოდ საქართველოში ღვივის? მოვიგონოთ, რაოდენ მწვავეა ვითარება ყარაბაღში, ჩრდილოეთ კავკასიაში, უზბეკეთში, მოლდოვასა ან თვით რუსეთში.

ეგებ დავფიქრდეთ — ასეთი დაჟინებული თვითგვემა, წრესგადასული „ჩახსეი-ვახსეი" ერთგვარ ეროვნულ მაზოხიზმად არ გადაიზარდოს. უნებლიე ზვარაკად ჩვენ თვითონვე ხომ არ ვდებთ თავს იმ სამსხვერპლოზე, რომლის მიღმა საქართველოს სანუკვარი საერთაშორისო აღიარება მართლაც მეტად პრობლემატურად გამოიყურება?

მით უფრო, როცა მართლაც მძიმე ვითარების დინჯ, ღრმა და კომპლექსურ ანალიზს რამდენადმე მსუბუქი სენტენცია ცვლის: „წარუმატებლობათა უწყვეტი ჯაჭვის უმთავრესი მიზეზი, ჩვენი აზრით, არის არამც თუ მცდარი, არამედ მანკიერი საკადრო პოლიტიკა".

საკადრო პოლიტიკაში დღევანდელმა ხელისუფლებამ, სამწუხაროდ, მართლაც დაუშვა რამდენიმე მეტად არასასიამოვნო შეცდომა. მაგრამ, ნუთუ „მიმართვის" ავტორები, რომელთაც მე პირადად ღრმა პატივსა ვცემ, მართლაც ფიქრობენ, რომ ესაა წარმოქმნილი კრიზისის „უმთავრესი მიზეზი"; რომ თუ მავანნი კი არ იქნებოდნენ მინისტრები, არამედ, ვთქვათ, ისინი, ან მათი თანამოაზრენი, საქართველოში ერთბაშად დამყარდებოდა სიმშვიდე, გადაწყდებოდა ყველა მტკივნეული პოლიტიკური თუ ეკონომიკური პრობლემა და ჩვენ ყველანი ერთბაშად აღმოვჩნდებოდით ესოდენ სასურველ დემოკრატიულ საზოგადოებაში?

უკანასკნელ ხანს გაუთავებელმა ლამენტაციებმა „დემოკრატიისა თუ დიქტატურის" შესახებ, ერთგვარად გააუფასურეს ამ ცნებების სიღრმისეული არსი და მნიშვნელობა და საქმე ისე წარმოაჩინეს, თითქოს „დემოკრატიის" მიღწევაზე ადვილი არაფერია, ოღონდ ზოგიერთთათვის ახლა უსიამო კერპად ქცეული გუშინდელი გმირი — პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია გადადგეს. ნუთუ დღეს მართლაც ასე უბრალო და ადვილი გადასაწყვეტია მრავალტანჯული საქართველოს ყველა პრობლემა?

ვწუხვარ, რომ ამ ვითარებასთან დაკავშირებით ერთი ადგილი მაგონდება დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებიდან: „ხოლო ვთქუა მეორეცა მიზეზი ამისვე პირისა, ვინათგან ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველითგანვე თუისთა უფალთა. რამეთუ, რაჟამს განდიდდნენ, განსუქნენ და დიდება ჰპოონ და განსუენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა, ვითარცა მოგუითხრობს ძველი მატიანე ქართლისა და საქმენი აწ ხილულნი" („ქართლის ცხოვრება", ტ. I. — თბილისი, 1955, გვ. 359).

ეშმაკისეულ წყევლად ხომ არ გადაგვექცა ქართველებს ორგული ბუნება ჩვენთა უფალთა მიმართ? იმგვარი, თვით მეფეთმეფე დავითს რომ გაუმწარა სიცოცხლე? ნუთუ იმით ვაპირებთ ფონს გასვლას, რომ დღეს გურამ პეტრიაშვილის, თეიმურაზ ქორიძის, დათა და ძმათა მისთანათა გამო—ლამის ჯვარს ვაცვათ პრაქტიკულ პოლიტიკაში ახალფეხადგმული, მმართველობის რეალურ უსაშველო ლაბირინთებში გამოუბრძმედელი პოლიტიკური მოღვაწენი, შეუბრალებლად მოვითხოვთ—მათგან უშეცდომო სვლას, უკიდეგანო ტოლერანტობას და დაღვინებულ სიბრძნეს!

ვიმედოვნებ, რომ ნათქვამს არავინ გამიგებს ისე, როგორც ცნობილ იგავ-არაკშია: „მელაკუდამ ტაში დაჰკრა — „ამფერ, ჩემო დათუნაო!" რესპუბლიკის ხელისუფლებისა თუ პარლამენტის შეცდომებსა და ზიგზაგებს საკანონმდებლო თუ პრაქტიკულ საქმიანობაში მე, შესაძლოა ჩემი პროფესიის გამო, სხვებზე უკეთესად ვხედავდე. მზად ვარ — ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ დონეზე — საკუთარი აზრი განვაცხადო კიდეც, გააზრებული, პირუთვნელი და პოზიტიური შედეგებისადმი მიზანსწრაფული. მაგრამ უმართებულოდ მიმაჩნია — ჩემი მიწისა და ჩემი ხალხის წინაშე — ეს ნიშნის მოგების ზარ-ზეიმად ვაქციო, ან ზოგიერთივით იმ პოსტის გაუქმებაზე ვიქადაგო დღენიადაგ, თვითონვე რომ გამწარებულნი მიესწრაფოდნენ გუშინ!

თავისთავად ცხადია, რომ წერილის სათაურში დასმული ალტერნატივა ყურადღების პროვოცირებისათვის გამიზნულ პარადოქსად უნდა გაიაზროს მკითხველმა, თორემ რომელ ჭკუათამყოფელს მოუვა დღეს თავში — არჩევანი არა დემოკრატიის, არამედ დიქტატურის სასარგებლოდ გააკეთოს. მთავარი, ვფიქრობ, მაინც ის არის, ნათლად გავარკვიოთ, რა არის დემოკრატია: წყობილება, რომელშიც ყველასათვის ყველაფერზე ლაყბობაა ნებადართული, თუ ფრიად რთული საზოგადოებრივი ფენომენი — ადამიანთა ერთობლიობის ცხოველქმედების ორგანიზაციის პრინციპი.

ბოლო დროს ზოგიერთმა ნაუცბათევად გამომცხვარმა პოლიტიკოსმა ზეორიგინალური ტერმინი შემოიტანა ხმარებაში — „აბსოლუტური დემოკრატია" და მის ეტალონად ამერიკა გამოაცხადა. უთუოდ იმ კეთილშობილი განზრახვით, რომ ჩვენც, ალბათ უახლოეს მომავალში, ასეთივე სანეტარო ელიზიუმი უნდა ავაგოთ ღვთის მიერ ჩვენთვის განჩინებულ მხარეში.

გავბედავ და პოლიტოლოგიურ ფანტასმაგორიათა თავგადადებულ ქურუმებს მოწიწებით შევახსენებ, რომ ამგვარი გაანგარიშებანი შესაძლებელია ქვიშაზე აგებულ ხუხულებს დაემსგავსოს, თუ საკუთარი ისტორიული გამოცდილება, ტრადიცია, ეკონომიკური განვითარების დონე, კონკრეტული პოლიტიკური ვითარება, ძალთა იმწუთიერი განლაგება არ იქნა გათვალისწინებული და ისიც, რა თქმა უნდა, ვინ უდგას სათავეში ამა თუ იმ მიზნისაკენ სვლას ერისას, ფართო ეროვნულ მოძრაობას. თორემ, შედეგად შეიძლება ის მივიღოთ, რასაც ბრძანებდა ერთ დროს გერმანიის იმპერიის პირველი რაიხსკანცლერი თავადი ოტო ფონ ბისმარკი: „რევოლუციებს იგონებენ ხოლმე გენიოსები, ახორციელებენ ფანატიკოსები და ნაყოფით სარგებლობენ არამზადები". სხვა ქვეყნების მიერ განვლილი გზა აქ ეტალონად როდი გამოდგება, არამედ მხოლოდ გაკვეთილად, რათა შესაძლებლობის მიხედვით სხვათა მიერ დაშვებული შეცდომებისაგან დავიზღვიოთ თავი.

სწორედ ამიტომ არის განსაკუთრებით ყურადსაღები ცნობილი ფრანგი პოლიტიკური მოღვაწისა და მოაზროვნის (თანამედროვე გაგებით — აპრობირებული პოლიტოლოგის) ალექსის დე ტოკვილის გაფრთხილება, რომელმაც XIX საუკუნის 20-იან წლებში, დადგინების პროცესში შეისწავლა სპეციალურად ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრივი ცხოვრება, რომ „ანარქია დემოკრატიულ ქვეყნებში გაცილებით უფრო საშიშია, ვიდრე სხვაგან სადმეო" (ა. დე ტოკვილი. დემოკრატია ამერიკაში, ტ. IV. — კიევი, 1860. გვ. 210. რუს. ენაზე).

საფრანგეთში ჯერ კიდევ 1835 წელს გამოსულ ამ ბრწყინვალე წიგნში ა. დე ტოკვილი ხაზგასმით მიუთითებდა, რომ „...ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი რევოლუციის შემდეგ, რომელმაც — წაართვა რა ქონება (ან, თუ გნებავთ, ძალაუფლება, ნ. კ.) აღრინდელ მეპატრონეებს — მოშალა ყოველგვარი რწმენა, აღავსო ერი სიძულვილით, ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესებითა და პარტიებით" (იქვე, გვ. 229), საზოგადოებაში გარკვეული კანონზომიერი ტენდენცია წარმოიშვება — ძალაუფლების კონცენტრაცია ცენტრალური მმართველობის ხელთ: „მთელი დემოკრატიული რევოლუციის განმავლობაში ადამიანები, რომლებიც დაკავებული იყვნენ ძველი არისტოკრატიული ხელისუფლების განადგურებით, დამოუკიდებლობის სულისკვეთებით შთაგონებული ჩანდნენ. მაგრამ, რაც უფრო სრული ხდებოდა თანასწორობის წარმატება, ისინი — სულ უფრო უკუქცეულნი ბუნებრივი ინსტინქტის წინაშე, რომელსაც თვით თანასწორობა წარმოშობდა — აძლიერებდნენ და ცენტრალიზებულს ხდიდნენ საზოგადოებრივ ხელისუფლებას.

მათ სურდათ თავისუფალი ყოფილიყვნენ, რათა თანასწორობისათვის მიეღწიათ. თანასწორობამ კი, თავისუფლების მეშვეობით განვითარებულმა, თვით ამ თავისუფლებით სარგებლობა გააძნელა" (იქვე, გვ. 246-247).

გარდამავალ საზოგადოებაში, რომელიც აქამდე ერთ, ლეგიტიმურ მდგომარეობას გამოემშვიდობა (თუნდაც დრომოჭმულს, ძირმომპალსა და ა. შ., როგორც ახლა მოდაში შემოვიდა ჩვენი წარსულის გაავებული განქიქება, თითქოს იგი სხვისი იყოს და არა ჩვენი — სისხლისა და ხორცისმიერი) და მეორეს — უფრო მაღალსა და ნათელს მიესწრაფის, საზოგადოებრივი სტრუქტურების ჩამოყალიბება, ისიც დემოკრატიულისა (რომელიც თავისი არსით საზოგადოების განვითარების უმაღლესი ეტაპია) — ურთულესი პროცესია და ამბიციური ესკაპადების სარბიელად არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადავაქციოთ. ისიც კონკრეტულად საქართველოში, მუსლიმანური ოკეანით რომაა გარშემორტყმული და მსოფლიოში არცთუ მაინცდამაინც ბევრი ვინმე რომ ჰყავს გულშემატკივარი და მისთვის თავდადებული.

სწორედ ამიტომ, ვფიქრობ ქართველ მკითხველთათვის ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგის ჯინ კირკპატრიკის სტატია „დიქტატორები და ორმაგი სტანდარტები", რომლის ვრცელ რეფერატსაც დღეს ვთავაზობთ მკითხველს. ქ-ნი ჯინ კირკპატრიკი — ჯორჯტაუნის უნივერსიტეტის პროფესორი, აშშ-ში „ქორის" იმიჯით სარგებლობს, ვინაიდან ამერიკელი ნეოკონსერვატორების უკიდურესად მემარჯვენე ფრთის წარმომადგენლად ითვლება. 1981-1984 წლებში პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა იგი აშშ წარმომადგენლად წარგზავნა გაეროში, სადაც მან არაერთგზის გაუმწარა სვებედი საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს.

ცხადია, რომ ეს სრულიადაც არ უშლის ხელს ქ-ნ ჯინ კირკპატრიკს სოლიდური, დაკვირვებული და ფრიად ნაყოფიერი პოლიტოლოგი იყოს. სტატია კონსერვატიულმა ჟურნალმა „კომენტარი" ჯერ კიდევ 1979 წელს გამოაქვეყნა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ინფორმაციის ცენტრმა მაშინვე მოამზადა წინამდებარე რეფერატი. სამწუხაროდ, მაშინ, „უძრაობის პერიოდში", როცა წარმოუდგენელი იყო გასაიდუმლოების ე. წ. „ქვესკუთხედით" დადაღული ამგვარი სტატიების ფართოდ გამომზეურება, ჩვენ იძულებული ვიყავით მხოლოდ „ხელმძღვანელი ელიტისათვის" გაგვეცნო იგი. ვერ ვიტყვი, რომ ასეთმა ინფორმაციამ რაიმე პოზიტიური კვალი დატოვა მათ საქმიანობაში.

ამჟამად სამეცნიერო ინფორმაციის ცენტრი ამზადებს და, ალბათ, მალე გამოსცემს კრებულს ასეთი ყაიდის სტატიებისას, რომელიც დასავლური პოლიტოლოგის პოზიციებს გააცნობს ქართველ მკითხველს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის მიმართ. ამ შემთხვევაში ქართველი მკითხველის ყურადღებას ამერიკელი ავტორის იმ მოსაზრებაზე გავამახვილებ, რომ „დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნა განსაკუთრებით ძნელია", რომ ამისათვის მრავალი წინაპირობაა აუცილებელი და რომ იმ ქვეყნებმა, რომლებიც ზოგიერთ ჩვენს შინაბერა პოლიტიკოსს ადამიანთა არსებობის ეტალონად წარმოუდგენია, დემოკრატიისაკენ, მიმავალ გზას „ათწლეულები, ზოგჯერ კი საუკუნეებიც მოანდომეს". ცხადია, ქ-ნ ჯინ კირკპატრიკის სტატია აშშ გარკვეული პოლიტიკური წრეების ინტერესებს გამოხატავს და იცავს. ჩვენთვის იგი იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც მასში „დიქტატურისა თუ დემოკრატიის" საკრამენტალური დილემა ღრმად, საქმის საფუძვლიანი ცოდნის პოზიციიდან არის გაანალიზებული. სწორედ იმ პოზიციიდან, ჩვენ რომ ესოდენ გვაკლია დღეს.

ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ვადიმ ჩურბანოვმა ამას წინათ აბსოლუტურად სამართლიანად აღნიშნა („ოგონიოკი", № 42) — ვიღაცამ მეტად მახვილი აზრი გამოთქვა, კამათი მხოლოდ თანამოაზრეებთან შეიძლებაო: „ყველაფერში თანამოაზრეობა შეუძლებელია და შესაძლებელიც რომ იყოს — ღმერთმა ნუ ქნას. მაგრამ აზრთა სხვადასხვაობა არ არის იმის საფუძველი, რომ საერთო ენა და ყველასათვის მისაღები გადაწყვეტილებანი ვერ ვიპოვოთ. ბოლოს და ბოლოს, კომუნისტი-ორთოდოქსიცა და დემოკრატი-რადიკალიც, რეაქციონერიც და რევოლუციონერიც, თავისი უკიდურესი გამოვლინებებისას ერთნაირად ფასობენ: ისინი არამცთუ ცდილობენ შეთანხმებას, არამედ ეშინიათ კიდეც ამისა, რადგან თვით მათი არსებობაცა და თვითდამკვიდრებაც კი მხოლოდ პოლარულად დაპირისპირებული შეხედულებების პირობებში, წინააღმდეგობათა მდუღარე ქვაბშია შესაძლებელი".

ღმერთმა ნუ ქნას, რომ საზოგადოებრივი განვითარების სათუთი პირმშო — ახლადშობილი დემოკრატიული საქართველო, ქართველთავე განსხვავებული აზრებისა და ამბიციების წინააღმდეგობათა მდუღარე ქვაბში ჩაეშვას!

ნოდარ კიკვაძე,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ინფორმაციის ცენტრის დირექტორი, პროფესორი.

ჯინ კირკპატრიკი

დიქტატურები და ორმაგი სტანდარტები

Kirkpatrick J. Dictatorships and Double Standarts. — „Commentary". — New York, 1979. — Vol. 68, № 5.

უკვე კარტერის პრეზიდენტობის ბოლო ხანს ნათელი გახდა მისი საგარეო პოლიტიკის სრული კრახი, როდესაც ყველაზე დიდი „მიღწევა" იყო... „პანამის არხის დაკარგვა, რომელიც კასტროს ტიპის დიქტატორმა იგდო ხელთ" (გვ. 34). კარტერის პრეზიდენტობის დროს დაემთხვა საბჭოთა კავშირის შეტევითი შეიარაღების არნახული ზრდა, მისი აშკარა აგრესიული ექსპანსია მთელს მსოფლიოში" — აფრიკაში, ავღანეთში, კარიბის ზღვის აუზში, რასაც თან სდევდა ამ რეგიონებში ამერიკის გავლენის დაცემა. „აშშ ისტორიის მანძილზე არასოდეს არ უცდიათ ასეთი მონდომებით „მესამე სამყაროში" მეგობრების შეძენა და არ განუცდიათ ესოდენი წარუმატებლობა" (გვ. 34).

ორი, ყველაზე დამამცირებელი ფაქტი კარტერის ადმინისტრაციისათვის არის ირანი და ავღანეთი, თითოეულ ამ ქვეყანაში კარტერის ადმინისტრაციამ ვერ შეძლო მოვლენათა არასასურველი შედეგების თავიდან აცილება. უფრო მეტიც, იგი აქტიურად უწყობდა ხელს — წინასწარგანზრახულად თუ უნებლიეთ ამერიკისადმი მეგობრულად განწყობილი ავტოკრატების შეცვლას ამერიკისადმი მტრულად განწყობილი ექსტრემისტული ყაიდის ავტოკრატებით. შეურიგებლობა და ამპარტავნობა, რასაც ავლენდნენ ეს რეჟიმები, გამორიცხავს მომავალში მათი დემოკრატიზაციის შესაძლებლობას.

სიტუაცია, რომელიც ამ ქვეყნებში შეიქმნა, სიმპტომატურია — აშშ აუცილებლად შეეჯახება ასეთივე მდგომარეობას სალვადორში, გვატემალაში, მაროკოში, ზაირსა და მსოფლიოს სხვა რეგიონებშიც. ამიტომ, როგორც ავტორი აღნიშნავს „... არ არსებობს ამერიკის საგარეო პოლიტიკისათვის უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე პოლიტიკურად რეალური, მორალურად და სტრატეგიულად მისაღები ხაზის ჩამოყალიბება ავტორიტარული მთავრობების მიმართ, რომელთაც ემუქრება საბჭოთის მიერ წაქეზებული ძირგამომთხრელი ქმედებანი ამ ქვეყნების შიგნით" (გვ. 35).

ნიკარაგუასა და ირანის მიმართ ამერიკის მიერ გატარებული ხაზი იგივე შეცდომებს იმეორებს, რაც თავის დროზე იქნა დაშვებული ჩინეთში ჩან კაიშის დამხობამდე, კუბაზე კასტროს მოსვლამდე, აგრეთვე ვიეტნამსა და ანგოლაში. ყველა ამ ქვეყანაში აშშ ცდამ იძულებული გაეხადა ავტოკრატული მთავრობები, რომელთაც ძლიერი ოპოზიცია გაუჩნდა, მოეხდინათ რეჟიმის ლიბერალიზაცია, საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაცია და დაეცვათ ადამიანის უფლებები, საქმე არამც თუ დასახული მიზნის განხორციელებამდე მიიყვანა, არამედ ხელი შეუწყო ძალაუფლების მოპოვებაში ისეთ რეჟიმებს, რომლებიც თავიანთ მოქალაქეებს პირადი თავისუფლებისა და უშიშროების კიდევ უფრო ნაკლებ გარანტიებს აძლევდნენ, ვიდრე წინამორბედი ავტოკრატული მთავრობები. უფრო მეტიც, თუ ძველი ავტოკრატები მეგობრულად იყვნენ განწყობილი ამერიკისადმი, მათ შემდეგ ქვეყნის სათავეში მოსული ტოტალიტარული რეჟიმები — უაღრესად მტრულად. „ირანის შაჰი და სომოსა არა მარტო ანტიკომუნისტები იყვნენ, არამედ აშშ მეგობრებიც" (გვ. 35).

მოვლენათა სცენარი, ავტორის აზრით, ყველგან თითქმის ერთნაირია: შეერთებული შტატებისადმი მეგობრულად განწყობილი ავტოკრატების წინააღმდეგ პრომარქსისტული ლიდერების მეთაურობით წარმოიშობა ინსურგენტული მოძრაობა საბჭოთა, ჩინური ან ჩეხური იარაღით აღჭურვილი. ამერიკული პრესა, შემდეგ კი ოფიციალური ორგანოებიც, მაგალითად, კონგრესი, აყენებენ საკითხს აშშ „მორალური უფლების" შესახებ იმ რეჟიმისათვის დახმარების აღმოსაჩენად, რომელსაც მხარს არ უჭერს საკუთარი მოსახლეობა და რომელიც არღვევს ადამიანის უფლებებს; ცდილობენ მოლაპარაკების ორგანიზებას „ფართო კოალიციის" შექმნის მიზნით „რეჟიმის ზომიერი კრიტიკოსის" ხელმძღვანელობით, რომელიც შეძლებს სიტუაციის პოლიტიკური გზით მოწესრიგებას.

ამრიგად, აშშ თვითონ უწყობს ხელს თავისი ერთგული მეგობრების (სომოსა, ირანის შაჰი) შეცვლას მტრული რეჟიმებით, უკეთეს შემთხვევაში აშშ კარგავს შესაძლებლობას ადრე მეგობრულ ტერიტორიაზე მიმოსვლისა, უარეს შემთხვევაში კი სსრკ ღებულობს ახალ ბაზას. „ამასთან ყველგან მსოფლიოში ჩვენი მეგობრები რწმუნდებიან, რომ მძიმე ვითარებაში აშშ-ზე დაყრდნობა არ შეიძლება, ხოლო ჩვენი მტრები კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ ვაშინგტონს არ შეუძლია მოვლენათა გეზის შეცვლა" (გვ. 35).

ირანის თაობაზე კარტერმა განაცხადა, რომ აშშ „არ წავა პირდაპირ ჩარევაზე". ამრიგად, „ინტერვენციაზე უარის პრინციპმა" სტრატეგიულ მოსაზრებებსა და ეროვნულ სიამაყეზე გაიმარჯვა. „მას, რაც მთელმა მსოფლიომ შეაფასა როგორც ამერიკის დამარცხება, კარტერი ირანელების საშინაო საქმედ თვლიდა" (გვ. 36).

ნიკარაგუაში, მალე მას შემდეგ, რაც სომოსას რეჟიმმა შეძლო სანდინისტური აჯანყების პირველი ტალღის მოგერიება, აშშ შეწყვიტა ამ მთავრობისადმი დახმარება, შემოიღო სანქციები და მიიღო რიგი ზომებისა, რომლებმაც ამერიკისადმი მეგობრული რეჟიმის სრული დისკრედიტაცია მოახდინა ეკონომიკურად და პოლიტიკურად, შეარყია საერთაშორისო ასპარეზზე მისი საერთაშორისო სტატუსი.

ავტორი აღშფოთებულია კარტერის გამონათქვამებით იმის შესახებ, რომ „...ნიკარაგუას ხალხს უნდა მიეცეს თავისი ბედის გადაწყვეტისა და მმართველობის სასურველი ფორმის შერჩევის შესაძლებლობა", აგრეთვე სახელმწიფო მდივნის თანაშემწის ნათქვამით — „სომოსასთან ერთად არ შეიძლება კრიზისიდან გამოსვლა... გამოსავალი ერთია, წარსულთან კავშირის გაწყვეტა..." (გვ. 37).

ჯ. კირკპატრიკის აზრით, კრიზისული სიტუაციის კარტერისეული შეფასება, რომელსაც იზიარებდა მთელი ლიბერალური საზოგადოებრიობა, ეფუძნებოდა სამ სრულიად მცდარ დებულებას:

1. რწმენას, რომ ნებისმიერი კრიზისის დროს არის არსებული რეჟიმის დემოკრატიული ალტერნატივა;
2. რწმენას, რომ სტატუს კვოს შენარჩუნება შეუძლებელია;
3. რწმენას, რომ ნებისმიერი ცვლილება, თვით პრომარქსისტული მთავრობის შექმნაც კი ჯობს სტატუს კვოს შენარჩუნებას.

მსოფლიოში არსებული მთავრობების უმეტესობა ავტოკრატულია და ამერიკელები, უდიდესი იდეალისტები, დარწმუნებული არიან, რომ საჭიროა და შეიძლება კიდეც მათი დემოკრატიზაცია. ამავე დროს კი დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნა *განსაკუთრებით ძნელია*.* ამისათვის აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს ეკონომიკისა და ცხოვრების გარკვეული დონე, მოსახლეობის საყოველთაო განათლება, განვითარებული საშუალო კლასი, მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში, პოლიტიკურ მოღვაწეთა უნარი და მზადყოფნა კომპრომისებისადმი, პოლიტიკაში ძალადობაზე უარის თქმა, ლიდერების უნარი შეურიგდნენ პოლიტიკურ მარცხს და მრავალი სხვა რამ. ზოგადად ეს შეიძლება გამოიხატოს „*პოლიტიკური კულტურის*" ცნებით.

იმ მცირერიცხოვან ქვეყნებში, სადაც დემოკრატია არსებობს, მისი გზა ხანგრძლივ „მოსამზადებელ პერიოდზე" გადიოდა, როდესაც პოლიტიკური ლიდერები ეჩვეოდნენ დისიდენტებთან მშვიდობიან თანაარსებობას, ოპოზიციასთან მშვიდობიან თანაცხოვრებას, ოპოზიცია კი შეეგუა აზრს, რომ არსებული მთავრობის დამარცხება შეიძლება პოლიტიკური ბრძოლის გზით და იგი არ უნდა იქნეს დამხობილი ძალით. ხალხმა, თავის მხრივ, ისწავლა ზემოქმედება მთავრობაზე და იგრძნო ამ მოღვაწეობის შედეგი. დემოკრატიისკენ მიმავალი ასეთი ხანგრძლივი გზის მაგალითებად გამოდგებიან ინგლისი, აშშ, საფრანგეთი და რიგი სხვა ქვეყნებისა. *მათ ამას ათწლეულები, ზოგჯერ კი საუკუნეებიც მოანდომეს.*

ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა სოციალისტური (ე. ი. ტოტალიტარული) საზოგადოების დემოკრატიზაციისა, მაშინ, როდესაც მემარჯვენე ავტოკრატებს გარკვეულ გარემოებებში — როგორიცაა ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური პირობები, დრო, ნიჭიერი ლიდერები — შეუძლიათ ევოლუცია დემოკრატიისაკენ. მაგალითად გამოდგება ესპანეთი, ბრაზილია. ასეთი შეიძლებოდა გამხდარიყვნენ ირანი და ნიკარაგუა.

ამერიკელებს, კირკპატრიკის აზრით, უძნელდებათ გაიაზრონ ის გარემოება, რომ ავტოკრატის შეცვლა მისი „ზომიერი კრიტიკოსით" და „ფართო კოალიციის" შექმნა მხოლოდ ანგრევს იმ საფუძველს, რომელზეც შეიძლებოდა დემოკრატიის აგება, რომ ეს სრულიადაც არ აახლოვებს დემოკრატიას.

ტრადიციული ავტოკრატების შემთხვევაში საზოგადოების ყველა ინსტიტუტი მჭიდროდ არის მასთან დაკავშირებული ნათესაური, კასტური, მეგობრული და სხვა სახის კავშირებით. ამიტომ თვით ავტოკრატის მოსპობა იწვევს საზოგადოების ყველა ინსტიტუტის მოშლას (შაჰის არმია, სომოსას გვარდია), რაც უაღრესად აოცებს ამერიკელებს, რომლებიც სოციალური ინსტიტუტების აგების სულ სხვა პრინციპებს არიან შეჩვეულნი.

ვიეტნამის, კუბის, ჩინეთის, ირანის, ნიკარაგუას შემთხვევაში აშშ პოლიტიკური შეცდომა გამოწვეული იყო სწორედ იმით, რომ არ გაიაზრებოდა ასეთი კავშირის არსებობა ავტოკრატსა და საზოგადოებრივ სტრუქტურებს შორის, აგრეთვე დემოკრატიული ოპოზიციის „ზომიერებისა" და მასზე თავისი ზეგავლენის გადამეტებულ შეფასებაში.

ოპოზიციის აქტიურობა აშშ მხრივ აღიქმება, როგორც ფართო საზოგადოებრიობის უკმაყოფილება არსებული მთავრობით და რეჟიმის დემოკრატიზაციის მოთხოვნილება. მაგრამ, ისეთი საზოგადოების სწრაფი დემოკრატიზაციის ცდები, რომელსაც არა აქვს ამისათვის აუცილებელი პოლიტიკური კულტურა, ტრადიცია და სოციალური სტრუქტურა, არათუ არ გვაძლევს სასურველ შედეგს, არამედ თუ ეს ცდები კეთდება იმ მომენტში, როდესაც ტრადიციული რეჟიმი ინსურგენტების დაწოლას განიცდის, ძალაუფლება ადვილად შეიძლება გადავიდეს პრომარქსისტული მთავრობის ხელთ და ტოტალიტარული რეჟიმი დამყარდეს.

ვიეტნამმა დაუმტკიცა ამერიკელებს, რომ აშშ-ს არ შეუძლია მსოფლიო პოლიციელის როლის შესრულება. მაგრამ, აქედან ერთი გაკვეთილის მიღებაც შეიძლებოდა — დემოკრატიის დაბადება შეუძლებელია, თუ „მშობიარობა" პარტიზანული ომის პირობებში მიმდინარეობს.

კარტერის ადმინისტრაციის მოქმედება ნიკარაგუასა და ავღანეთში, ავტორის აზრით, ემყარება კიდევ ერთ მცდარ რწმენას, რომ ცვლილება ასეთი ავტოკრატიული რეჟიმებისა თავისთავად (perse) გარდაუვალია, სასურველიც კი, და შეესაბამება ამერიკის ინტერესებს. სწორედ ეს მოსაზრება აიძულებდა ადმინისტრაციას აქტიური მონაწილეობა მიეღო არაკომუნისტური ავტოკრატიების დამხობაში და ამავე დროს არავითარი რეაქცია არ ჰქონოდა კომუნისტური ექსპანსიის მიმართ.

შემდგომ ავტორი აკრიტიკებს კარტერისეულ „მოდერნიზაციის დოქტრინას", რომლის თანახმად, ცივი ომის დამთავრებასთან დაკავშირებით, ძირითადი ყურადღება უნდა დაეთმოს „ჩრდილოეთ-სამხრეთის" პრობლემებს და დახმარება გაეწიოს განვითარებად ქვეყნებს საკუთარი ბედის განსაზღვრაში. „მოდერნიზაციის დოქტრინა", რომელსაც წინათ „სოციალურ ცვლილებათა თეორია" ეწოდებოდა, გულისხმობს მსოფლიო პროგრესს ყველა საზოგადოების მოდერნიზაციის წყალობით და „ბედნიერ მომავალს" მაღალგანვითარებული დამოუკიდებელი სახელმწიფოების მსოფლიო თანამეგობრობის სახით.

ეს თეორია ჩამოყალიბებული იყო ბჟეზინსკის წიგნში „ორ საუკუნეს შორის".[1]

გლობალურ საერთაშორისო პოლიტიკაში დგება ახალი ერა, როდესაც „ეროვნული დომინანტი" ადგილს უთმობს „გლობალურ" პერსპექტივებს და საერთაშორისო პრობლემებს, რომლებიც უნდა განვიხილოთ ზოგადსაკაცობრიო პრობლემებისა" და არა პოლიტიკური კონფრონტაციის ასპექტით (გვ. 38).

კარტერისეული დოქტრინის ცენტრში დგას „მესამე სამყაროს მოდერნიზაცია". ამასთან, როგორც ჯ. კირკპატრიკი აღნიშნავს, ადმინისტრაციამ სრულიად უგულებელყო ამერიკის ინტერესები. ასეთი მიდგომის გამო მსოფლიოს განვითარებაში ნებისმიერი მოვლენა განიხილება, როგორც უკონტროლო ისტორიულ ძალთა მოქმედების შედეგი. აქედან კეთდება მაგიური დასკვნა, რომ ყველაზე დიდი, რაც შეუძლია გააკეთოს მთავრობამ — ეს არის ისტორიის ბებიაქალის ფუნქციის აღება საკუთარ თავზე. ავტორი ასეთ მიდგომას აფასებს როგორც ცრუოპტიმისტურს და უწოდებს მას ისტორიულ დეტერმინიზმს, რადგანაც ის გულისხმობს მოვლენათა თითქმის მთლიან წინასწარ განსაზღვრულობას და პოლიტიკოსების მხრივ მათი გაკონტროლების შეუძლებლობას.

ისტორიისადმი ასეთი მიდგომა, ჯ. კირკპატრიკის აზრით, ზედმეტად გლობალისტურია, რადგან იგი მოვლენებს აფასებს არა აშშ ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ ისტორიული პროცესის „მოდერნიზაციის" პოზიციიდან. „მოდერნიზაციის დოქტრინის" მომხრეებს მიაჩნიათ, რომ ისტორიას წარმართავენ არა *ადამიანები*, არამედ *ძალები*. ამასთან დაკავშირებით ჯ. კირკპატრიკს მოჰყავს კარტერის ნათქვამი: „ირანის რევოლუცია ღრმა ეროვნული, პოლიტიკური, რელიგიური და ეკონომიკური ფაქტორებისა და ძალების მოქმედების შედეგია, რომლებსაც ფესვები აქვთ გადგმული ირანის ისტორიაში" (გვ. 39).

ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ ავტორს მოჰყავს არგუმენტი, რომ ასეთი „ღრმა ეროვნული ისტორიული ძალები" არ შეიძლება თითქმის ერთდროულად წარმოიქმნას მსოფლიოს ისეთ განსხვავებულ რეგიონებში, როგორიცაა ირანი, სამხრეთი აფრიკა, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია და ცენტრალური ამერიკა და კითხულობს, „ეს „ძალები" რუსებს ან კუბელებს ხომ არ მოგვაგონებსო?"

აქედან გამომდინარეობს დასკვნა — ისტორიულ პროცესში რაიმეს შეცვლის შეუძლებლობის შესახებ, ვინაიდან თუ „ისტორიას ქმნიან არაადამიანები, მაშინ ადამიანებს არც მისი კონტროლი ძალუძთ". ავტორის აზრით, ადმინისტრაციის მხრივ *ასეთი დეტერმინისტული და მცდარი* მიდგომა მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებისადმი არ აძლევს ამერიკას საშუალებას აქტიური მონაწილეობა მიიღოს ისტორიულ განვითარებაში და მას პასიური დამკვირვებლის როლში ამყოფებს.

ავტორი აკრიტიკებს საგარეო პოლიტიკაში ინტერვენციის უარყოფას როგორც „სუსტსა და პასიურ" პოლიტიკას. ასეთი „უპასუხისმგებლო" სტრატეგიის შედეგად არაკომუნისტურ ავტოკრატებს ამხობენ ინსურგენტები, რომლებიც გაწვრთნილი და შეიარაღებული არიან საბჭოთა კავშირის ან მისი კლიენტების მიერ. სწორედ ისინი უცხადებენ ბრძოლას სტატუს კვოს ისე, რომ „ცვლილებები", რომლებსაც აშშ მიესალმება, ცხოვრებაში ხორციელდება „საბჭოთა კლიენტების, ან ხომეინის, არაფატისა და კასტროს ტიპის უპასუხისმგებლო ექსტრემისტების მიერ" (გვ. 40).

აკრიტიკებს რა აშშ საგარეო პოლიტიკის „ორმაგი სტანდარტების" პრაქტიკას, ჯ. კირკპატრიკი აღნიშნავს, რომ კარტერის ადმინისტრაცია რატომღაც მიესალმებოდა ცვლილებებს მხოლოდ მესამე სამყაროში და მთლიანად გამორიცხავდა მათ სოციალისტურ ქვეყნებში, იცავდა რა იქ სტატუს კვოს შენარჩუნებას. ამასთან უფლება ასეთ სტატუს კვოზე სრულიად გამორიცხებოდა მემარჯვენე ავტოკრატიის ან ოლიგარქიის მიმართ. „თუ მთავრობამ ცნო კომუნისტები ნიკარაგუაში, რატომ თქვა უარი ეცნო ზიმბაბვესა და როდეზიის არჩეული მთავრობები?" — კითხულობს ავტორი. ადმინისტრაციას აწუხებს ადამიანის უფლებების საკითხი ავტოკრატიებსა და ოლიგარქიებში, ამ ქვეყნებთან ურთიერთობას თითქმის წყვეტს კიდევაც, მაშინ, როდესაც კავშირს ამყარებს სოციალისტურ ბანაკთან, სადაც ადამიანთა უფლებები უკვე დიდი ხანია ითელება. „ასეთ ორმაგ სტანდარტებს აქვს არსებობის უფლება?".

ავტორი აღნიშნავს კარტერის ადმინისტრაციის „უცნაურ" წარმოდგენებს ამერიკის „ეროვნული ინტერესების" შესახებ, როდესაც მეგობრული ქვეყნების ცდა — შეინარჩუნონ სტატუს კვო და თავიდან აიცილონ ცვლილებები — დაიგმობა, ხოლო „არამეგობრული" ქვეყნების წარმატება მიიჩნევა ისტორიულ კანონზომიერებად.

„რატომ ანიჭებენ ამერიკელები უპირატესობას მემარცხენე რევოლუციონერებს და არა ტრადიციულ ავტოკრატიებს? მხოლოდ იმიტომ, რომ მათი დემაგოგია უფრო შეესაბამება ამერიკულ ღირებულებათა სისტემას?" (გვ. 42). „პროგრესულ ლიბერალიზმს" მიესალმებოდნენ მისი შეფერილობის მიუხედავად, ხოლო ამერიკის ისეთ ერთგულ მეგობრებთან, როგორიც იყვნენ როდეზია და ნიკარაგუა სომოსას დროს, კავშირები შეწყდა.

ლიბერალებს ვერაფრით ვერ გაუგიათ, რომ ავტოკრატიული მთავრობები ნაკლებად რეპრესიულია, ვიდრე მემარცხენე რევოლუციონერების მთავრობები. ისინი უფრო ადვილად ემორჩილებიან ლიბერალიზაციასა და დემოკრატიზაციას და უფრო მეტად შეესაბამებიან აშშ ეროვნულ ინტერესებს. ამასთან ჩინეთის, ვიეტნამისა და კამპუჩიის ახალი ტოტალიტარული რეჟიმები უფრო რეპრესიულია, ვიდრე მათი წინამორბედი მემარჯვენე ავტოკრატიები. ტრადიციული ავტოკრატები მხოლოდ *ეგუებიან* არათანასწორუფლებიანობას, სიღატაკეს, სიმკაცრეს, ხოლო მემარცხენე რევოლუციონერები *თვითონ ქმნიან* მათ. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ ლტოლვილთა რაოდენობა კომუნისტური ქვეყნებიდან გაცილებით მეტია, ვიდრე ავტოკრატიული ქვეყნებიდან.

ამასთან ერთად ტოტალიტარული რეჟიმი ავტორიტარულისაგან განსხვავებით სრულ შეურიგებლობას იჩენს განსხვავებული აზროვნებისადმი, იგი თეორიულადაც კი უარყოფს ოპოზიციის არსებობის კანონიერებას. მთლიანად უმორჩილებს რა საზოგადოებას სახელმწიფო მანქანას, თრგუნავს და კრძალავს რა სოციალური ორგანიზაციისა და ინსტიტუტების ყოველგვარ სხვა არასახელმწიფოებრივ ფორმებს, ტოტალიტარული რეჟიმი შეუძლებელს ხდის საზოგადოების ლიბერალიზაციასა და დემოკრატიზაციას შორეულ მომავალშიც კი.

ყველაზე მემარჯვენე ავტოკრატიაც კი ატარებს ჩანასახობრივი დემოკრატიის ყლორტებს, რასაც მთლიანად მოკლებულია ტოტალიტარული რეჟიმი.

დასკვნით ნაწილში ჯინ კირკპატრიკი ხაზს უსვამს, რომ ლიბერალური იდეალიზმი, რომელიც დამახასიათებელია ამერიკელებისათვის, არ უნდა იქცეს „ეროვნულ მაზოხიზმად" და არ უნდა გახდეს შეუთავსებელი აშშ ეროვნული ინტერესებისა და თავისუფლების დაცვასთან.

---

* აქ და ქვემოთ აქცენტი ავტორისეულია (რედ.).

[1] Z. Brzezinsky. Between Two Ayes. — New York, 1978.

შიდა ქართლი

ნაღმებითა და რაკეტებით გადათხრილი მიწა

15 ნოემბერს ღამით გორის რაიონში ქალაქ ცხინვალის მხრიდან რამდენიმე სოფელს, უპირატესად ქართულს, მასირებულად უშენდნენ რაკეტებსა და ნაღმსატყორცნებს. პრეზიდენტის პრესსამსახურმა ვითარების ობიექტურად გაშუქებისათვის მეორე დღეს, შაბათს, ჟურნალისტთა ჯგუფს შესაძლებლობა მისცა ადგილზე გამგზავრებულიყო. „კომსომოლსკაია პრავდის", „ნეზავისიმაია გაზეტას", „კომერსანტის", „უჩიტელსკაია გაზეტას", საინფორმაციო სააგენტო „იპრინდას" კორესპონდენტებთან ერთად შიდა ქართლში იმყოფებოდნენ საქართველოს ეროვნული საინფორმაციო სააგენტოს „საქინფორმის" თანამშრომლები. ქვემოთ ვაქვეყნებთ მათ რეპორტაჟს მოვლენის ადგილიდან.

• • •

ავტომატის ჯერი გაურკვეველი მხრიდან ისმოდა — ზემოდანაც, გვერდიდანაც, ბინდში ჩაძირული ცხინვალის მხრიდანაც, სადაც აქა-იქ სინათლე ბჟუტავდა. გასულ ღამეს აქ, სოფელ ქვემო ნიქოზში მწუხარება და შიში გადაიტანა თითქმის სამასმა ოჯახმა.

— წელში მოხარეთ და კედლებისა და ღობეების გაყოლებით იარეთ, — გვირჩია ადგილობრივმა მცხოვრებმა სოსო კანდელაკმა, რომლის თანხლებით ის იყო ვეწვიეთ დათო პეტრიაშვილს. ამ ახალგაზრდა ზემონიქოზელს „გაუმართლა": ნაღმი ისე აფეთქდა, რომ მის კედელს ვერ უწია. გაცილებით უარეს დღეში აღმოჩნდნენ სხვები. სახლები რამდენიმე ათეულ სოფლელს დაუზიანდა, ერთი სახლი დაიწვა, ზოგსაც მინები ჩაემსხვრა. დაიჭრნენ ზურა და ტიტო მჭედლიძეები, მახარე ლაცაბიძე, გოჩა მჭედლიძე კი, დენთის გაზებისაგან მოწამლული, ლოგინში იწვა.

მასპინძელი ნების უკითხავად მაშინვე ბოძზე აძვრა. ქუჩაში ელექტრონათურა აინთო. იქნებ ის ერთადერთი იყო სოფელში. სულ ერთ-ორ წუთს ციმციმებდა, სანამ ღრმულს ფოტოსურათს გადავუღებდით.

მახვილად მოხრეშილ მთვარით გაკაშკაშებულ გზაზე ბორძიკით დავბრუნდით სოფლის ცენტრში.

ჩვენი არყოფნის დროს აქ დარჩენილი კოლეგა ჟურნალისტები საუბარს განაგრძობდნენ მცხოვრებლებთან. მოსაუბრენი ძირითადად მამაკაცები იყვნენ. ცოტა მოშორებით ქალთა ჯგუფი შევნიშნეთ. ჩვენთან იყო ადგილობრივი საკრებულოს გამგებელი გიორგი ლაზარაშვილი. იგი პირველი შემოგვეგება სოფლის შესასვლელთან.

— ვინ გვეტყვის, როდის დამთავრდება ყოველივე ეს? —მოგვმართა ჩვენ ნათელა ჩუბინაშვილმა. — როდის წაეთრევიან ეს მტარვალები? ჩვენი მამაკაცები, უიარაღონი, თავს ვერაფრით იცავენ. საჭმელ-სასმელი არა გვაქვს ბავშვებისათვის...

— მაშ, რას შვრებით, რას შვრებოდით გუშინ? — შეიძლებოდა ათასი სხვა კითხვის დასმა, ოღონდ არა ამ კითხვისა. რა უნდა ეთქვათ პასუხად ამ გაწამებულ, მუდმივ შიშში მცხოვრებ ადამიანებს? ის, რომ სოფელში, როცა მოეპრიანებათ მაშინ მოვლენ სამხედრო ჯავშნიან მანქანებზე მსხდომი ოსი ექსტრემისტები? რომ დაღამებისთანავე საშიშია არათუ ქუჩაში, არამედ კარის დირეზე გამოსვლა? ანდა ის, რომ სოფლელები იძულებული არიან თავი გამოისყიდონ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ქვეგანაყოფებისაგან, რათა იმათ მხარი არ დაუჭირონ ექსტრემისტებს, რომლებიც აწამებენ მშვიდობიან მოსახლეობას?...

მართალი გითხრათ, ცუდად გავხდით ამ ინფორმაციისაგან, რომელიც ვიღაცამ სიბნელეში მოგვაწოდა. თურმე, აქედან სამას მეტრზე დგას შენიღბული ჯავშანტრანსპორტიორი.

— ისინი იქ ყველანი მთვრალები არიან, ჩვენ ვიცით, —მოულოდნელად ჩაებნენ საუბარში ნინიკო და თამრიკო მჭედლიძეები, ათი და თორმეტი წლის დები.

— მართლაც საშინელი სანახავი იყო ის, რაც აქ გუშინ ხდებოდა, ამას სიტყვებით ვერ გადმოგცემთ, — ამბობს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის გორის განყოფილების უფროსი თამაზ ჩუტკერაშვილი. წუხელ იგი აქ გამოძახებით ჩამოვიდა, დღეს კი გორიდან ჩამოგვიძღვა. 15 ნოემბრის საღამოს 9 საათიდან 16 ნოემბრის დილის 4 საათამდე ამ ერთ მტკაველ მიწას, რომელიც საგანგებო წესრიგის რეჟიმის ზონის ფარგლებს გარეთ არის, 120-მილიმეტრიანი და 160-მილიმეტრიანი ნაღმები და ორმოცდაათამდე საბრძოლო რაკეტა დააყარეს ქალაქ ცხინვალისა და ჯავის რაიონში დისლოცირებულმა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების ქვეგანაყოფებმა. ისროდნენ ჯავშანტრანსპორტიორებიდანაც. ირგვლივ ყველაფერი ტყვიამფრქვევისა და ავტომატის ცეცხლში იყო გახვეული. მატერიალური ზარალი მიაყენეს სოფლებს ზემო ნიქოზს, ქვემო ნიქოზს, ზემო ხვიტს, მამისაანთ უბანს, დემორალიზებულია ადგილობრივი მშვიდობიანი მოსახლეობა.

ეს მონაცემები მივიღეთ საუბრიდან, რომლებიც ერთი საათის შემდეგ გაიმართა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებით შტაბში გორის რაიონის სოფელ მეღვრეკისში. ჟურნალისტებისათვის საინტერესო კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცეს შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა მილიციის მაიორმა რევაზ არაბიძემ და გორის რაიონის პრეფექტის მოადგილემ ნუგზარ მაჭავარიანმა. მათ, კერძოდ, დაადასტურეს ის ცნობები, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვეგანაყოფების მიერ სროლის ატეხა პროვოკაციულად გამოიწვიეს ოსმა ექსტრემისტებმა, შესაძლოა, მათმა იმ ჯგუფებმა, რომლებიც შიდა ქართლში გამოგზავნილია ჩრდილოეთ ოსეთიდან.

ვალერიან ბაბუაძე,
საქინფორმის კორ.

სურათებზე: მძიმედ დაიჭრა გორის რაიონის სოფელ ზემო ნიქოზის მცხოვრები ტრისტან მჭედლიძე; სოფლელები ათვალიერებენ უმართავი რეაქტიული რაკეტის ჭურვს.

მიხეილ ჯაფარიძის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალსაზრისი

ქართული ვალუტა: მითი და რეალობა

როდესაც რომელიმე ერი საკუთარი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შენებას იწყებს, მის წინაშე უსათუოდ მთელი სიმწვავით დადგება ხოლმე ეროვნული ვალუტის საჭიროების საკითხი. სწორედ ასეთ ვითარებაში იმყოფება დღევანდელი ქართველი ერი, რომელიც უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა ეკიდებოდეს აღნიშნულ სასიცოცხლო ეროვნული მნიშვნელობის საკითხს, რადგან, სანამ ჩვენში საბჭოთა ფული ბატონობს, მანამ საქართველოს ეკონომიკა კვლავაც ცენტრის ეკონომიკის რიგით, კოლონიურ რგოლად რჩება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ხელისუფლება თავიდანვე არაორაზროვნად აღნიშნავდა, რომ საჭიროა გვქონდეს საკუთარი ვალუტა.

ეროვნულ ფულად სისტემაზე გადასვლისაკენ სწრაფვის მაჩვენებელია ისიც, რომ ცოტა ხნის წინათ ოფიციალურად გამოცხადებული ქართული ფულის ერთეულის შემოღების ვადამ — 1994 წლის 1 იანვარმა, სულ ახლახან მთავრობის გადაწყვეტილებით საგრძნობლად გადმოიწია. ამან კი მეტად სერიოზული პრობლემების წინაშე დაგვაყენა.

პრესაში დაიბეჭდა ბატონ ჰ. გრიგოლაიას საინტერესო წერილი „ეროვნული ვალუტის საკითხისათვის“, რომელშიც ავტორმა წინადადება წამოაყენა ქართული ფული ბონის (ბონი არის სახელმწიფო ხაზინის ან სხვა დაწესებულების მიერ გამოცემული მოკლევადიანი სავალო ვალდებულება, როგორც მიმოქცევისა და გადახდის დროებითი საშუალება. ბონები ბრუნვაში იყო 1918-1924 წლების საქართველოში) სახით გამოვუშვათო და იქვე დასძინა, „როგორც წესი, ბონები ჩვეულებრივ ქაღალდზე იბეჭდებაო“.

ამ წინადადების გააზრებისას ჩნდება რამდენიმე კითხვა:

1. რადგან ბონი დროებითი ფულია, მაშასადამე, გარკვეულ დროს აუცილებლად დაგვჭირდება მისი შეცვლა „ნამდვილი“ ფულის ნიშნებით, რაც, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საკმაოდ სოლიდურ ხარჯებთან არის დაკავშირებული და მძიმედ დააწვება საქართველოს ისედაც გალატაკებულ ბიუჯეტს (მაგალითისათვის: ერთი ამერიკული დოლარის ღირებულების კუპიურის დაბეჭდვა დაახლოებით 2,5 ცენტი ჯდება). ამასთანავე, ვეჭვობ, რომ ფულის ნიშნების ასე მალ-მალე ცვლას კმაყოფილებით შეხვდეს ჩვენი მოსახლეობა.

2. თუკი ქართული ბონი ჩვეულებრივ ქაღალდზე დაიბეჭდება, ეს თითქოს მისი მაღალპოლიგრაფიულ დონეზე დამზადების პრობლემას მოხსნიდა, მაგრამ რა გარანტია გვაქვს, რომ ჩვენდამი მტრულად განწყობილი ქვეყნები არ ისარგებლებენ ამით და არ შეეცდებიან ყალბი ბონების დამზადებითა და საქართველოში შემოტანით (ამ ვერაგულ ხერხს წარმატებით იყენებდა ფაშისტური გერმანია დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში) გამანადგურებელი დარტყმა მიაყენონ ჩვენს ფინანსურ სისტემას. თუ მოვლენები ასე განვითარდა, საქართველო უნებლიედ გაიზიარებს ორი საუკუნის წინანდელი ამერიკის შეერთებული შტატების ბედს, სადაც ისეთი კატასტროფული სიტუაცია იყო, რომ ჯორჯ ვაშინგტონის თქმით, „ერთი ურემი სურსათის შესაძენად ერთი ურემი დოლარი იყო საჭირო“.

ყოველივე ამის გამო, ვფიქრობთ, უმჯობესია გარკვეული დრო დაგვჭირდეს ეროვნული ფულის შემოღებამდე, მაგრამ, სამაგიეროდ, იგი იყოს საერთაშორისო სტანდარტების შესაფერისი, სტაბილური კურსის მქონე, მაღალმხატვრულ დონეზე გაფორმებული ავტორიტეტული ვალუტა, რომელიც 2500-წლოვანი ისტორიის მქონე ქართული ფულის ღირსეული მემკვიდრე იქნება და არა საბჭოთა მანეთივით რეპუტაციაშელახული და უკურნებელი სენით დაავადებული ფსევდოფული.

ვალუტა, როგორც ყველა სუვერენული სახელმწიფოსათვის ნიშანდობლივი ატრიბუტი, ერთგვარი ბარომეტრიცაა, რომელიც უტყუარ ინფორმაციას გვაწვდის მისი მომჭრელი ქვეყნის შესახებ. მაგალითად, თუ კონვერტირებული და მტკიცე ვალუტა ქვეყნის ეკონომიკური სიმძლავრის მაჩვენებელია, გაუფასურებული და დევალვირებული ფული სახელმწიფოს ეკონომიკურ ნგრევაზე მეტყველებს.

საბჭოთა ფულის კატასტროფული გაუფასურება მსოფლიოს უკანასკნელი იმპერიის სრულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრახს გვაახლოვებს, რასაც შედეგად ამ აბსურდული კონგლომერატის შეუქცევადი რღვევის კანონზომიერი პროცესი უნდა მოჰყვეს.

იმპერიისაგან მონიჭებულ მრავალ სხვა „სიურპრიზთან“ ერთად, უკანასკნელ ხანს, თავი იჩინა ერთმა საყურადღებო მოვლენამ: ცენტრის სახბანკიდან ფულის მოუწოდებლობის გამო, შემნახველ სალაროებში ფული გაქრა, ხოლო საქართველოს ხელისუფლებას ამ დეფიციტის აღმოფხვრა მხოლოდ საკუთარი ვალუტის შემოღების შემდეგ შეუძლია, ე. ი. ხელოვნურად ჩქარდება ქართული ფულისაკენ სწრაფვის პროცესი, რაც გონივრულ და ყოველმხრივ აწონილ-დაწონილ მიდგომას მოითხოვს. ასეთ ვითარებაში საქართველოს ხელისუფლებამ რამენაირად უნდა შეძლოს, რომ ქართული ფულის შემოღებისას არ დაზარალდეს ჩვენი მოსახლეობის ეკონომიკური ინტერესები, რასაც შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს.

თუ როგორი იქნება ქართული ფულის ერთეულისა და საბჭოთა მანეთის კურსის თანაფარდობა, ამას მთავრობა დაადგენს, მაგრამ ყოველგვარი შესაძლო პროვოკაციებისა და მასობრივი პანიკის თავიდან ასაცილებლად (მსგავსი მოვლენები აღინიშნა 1919 წლის ივლისში, როდესაც საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ საკუთარი ფული შემოიღო), საქართველოს ხელისუფლებამ ახლავე უნდა მისცეს მტკიცე გარანტია მოსახლეობას, რომ მის ხელთ არსებული ფულადი რესურსები შეუზღუდავად და უმტკივნეულოდ გადაიცვლება ეროვნულ ვალუტაზე.

თავდაპირველად ქართული და საკავშირო ვალუტის პარალელური არსებობა დასაშვებად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ უნდა ვეცადოთ, რომ ეროვნულ ფულს რაც შეიძლება მაღალი კურსი ჰქონდეს, რათა მან მშვიდობიანად გამოაძევოს გაუფასურებული მანეთი მიმოქცევიდან.

რა საფუძველი უნდა დავახვედროთ ქართულ ფულს, რომ მისი ავტორიტეტი დაცული იყოს? ზოგის აზრით, მთავარია, რომ იგი ოქროთი და სხვა ძვირფასი ლითონებით იყოს უზრუნველყოფილი. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ უკვე კარგა ხანია, რაც თანამედროვე მსოფლიოში ფულის ოქროზოდური და ოქროდევიზური უზრუნველყოფა მეორეხარისხოვან საქმედ არის მიჩნეული და პრიორიტეტი ენიჭება პროდუქციას. ამიტომ მთელი ყურადღება გადატანილი უნდა იქნეს საქართველოში დამზადებული პროდუქციის ხარისხზე, მის კონკურენტუნარიანობაზე საერთაშორისო ბაზრის მასშტაბით.

ოქრო რომ უკვე აღარ წარმოადგენს ვალუტის კურსის ძირითად განმსაზღვრელს, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მიუხედავად ოქროს იმ საკმაო მარაგისა, რასაც ფლობს ცენტრის ხაზინა, მისი ფულის ერთეული მაინც „ხის მანეთის“ დამამცირებელი ტიტულით მოიხსენიება, რადგან იმპერიაში წარმოებული პროდუქციის 99 პროცენტი არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

იმ ეკონომიკური ხასიათის მანიპულაციების გარდა, რომელნიც საკუთარი ფულის შემოღებამდე უნდა განხორციელდეს საქართველოში, ვფიქრობთ, საჭიროა შემდეგი ღონისძიებებიც:

1. დაუყოვნებლივ უნდა დაარსდეს „ქართული ფულის ფონდი“ (ასეთი სახელწოდების ფონდი არსებობდა 1918 წელსაც), რომელში შესული თანხაც მთლიანად მოხმარდება ეროვნული ვალუტისათვის მოსამზადებელ სამუშაოებს;

2. საბოლოოდ უნდა დადგინდეს ის სახელები, რომლებიც დაერქმევა ქართულ ბანკნოტსა და ხურდა მონეტას;

3. ოფიციალურად უნდა განისაზღვროს, თუ რა ნომინალის მქონე ფულის ნიშნები (როგორც ქაღალდისა, ისე ლითონისა) გვჭირდება და ამის გათვალისწინებით გამოცხადდეს საყოველთაო კონკურსი თითოეული მათგანის ესკიზის საუკეთესო ნიმუშის გამოსავლენად, ხოლო ეს საქმე მიენდოს კომპეტენტური პირებით დაკომპლექტებულ სპეციალურ სამხატვრო ჟიურის;

4. რადგან საქართველოში საკუთარი ვალუტის დაბეჭდვის საშუალება არ არის, ბალტიის ქვეყნების მსგავსად ჩვენმა ხელისუფლებამ უნდა მონახოს საიმედო საზღვარგარეთული ფირმა, რომელიც ითავებს ქართული ფულის ნიშნების შესაფერის დონეზე დამზადებას.

უკვე ერთ წელიწადზე მეტია ქართული ფულის სახელწოდების ირგვლივ რესპუბლიკურ პრესაში, გაჩაღებულია მძაფრი დისკუსია, რომელსაც დასაბამი მისცა შარშან 9 ოქტომბერს დაბეჭდილმა ჩვენმა სტატიამ: „აღვადგინოთ ეროვნული ფული“, სადაც ქართული ბანკნოტის სახელად საზოგადოებას შევთავაზეთ „მარჩილი“ ან „ქართი“.

სახელწოდება „მარჩილის“ აღდგენა გამართლებულად მივიჩნიეთ შემდეგი მოტივით:

ცნობილია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურებს სურდათ 1921 წლიდან განეხორციელებინათ ფულის რეფორმა, კერძოდ , გაეუქმებინათ დროებითი ფული — ბონი, შეექმნათ ახალი, ძლიერი ფულის სისტემა, რომელშიც სახელწოდება „მანეთის“ ადგილი ძველად ხმარებულ ტერმინ „მარჩილს“ უნდა დაეკავებინა. მხატვარ ე. ლანსერეს ჯერ კიდევ 1920 წლის ივნისში დაუხატია 25-მარჩილიანი ბანკნოტის პროექტი.

ამ გრანდიოზულ რეფორმას, რომელსაც შედეგად საქართველოს მთლიანი ეკონომიკის სტაბილიზაცია უნდა მოჰყოლოდა, სათავეში ედგა გამოჩენილი ეკონომისტი, იმდროინდელი ფინანსთა მინისტრი კონსტანტინე კანდელაკი.

სამწუხაროდ, ეს ღონისძიება ჩაშალა 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებულმა საქართველოს ანექსიამ.

ამრიგად, „მარჩილის“ აღდგენით, ჩვენ გვსურდა აღგვედგინა ისტორიული სამართლიანობა და ხორცი შეგვესხა დამოუკიდებელი საქართველოს მესვეურთა ამ პატრიოტული ჩანაფიქრისათვის.

რაც შეეხება სახელწოდება „ქართს“, მისი გამოყენება შესაძლებლად მიგვაჩნდა იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებრიობა „მარჩილს“ რაიმე მოტივით დაიწუნებდა (ვთქვათ, მისი არაქართული, კერძოდ იტალიური წარმომავლობის, ანდა სიტყვა მორჩილთან უნებლიე კავშირის გამო).

მიუხედავად იმ ერთგვარი ნაკლისა, რაც „მარჩილს“ აქვს, მისი დარქმევა ქართული ბანკნოტისათვის გამართლებულია, თუმცა მიმაჩნია, რომ დღევანდელ პირობებში, ჩვენი მზარდი ეროვნული თვითშეგნების ფონზე სახელწოდება „ქართი“ უფრო ლამაზად და პატრიოტულად აღიქმება, ისევე, როგორც „ფრანკი“ საფრანგეთში, „ლიტი“ ლიტვაში, „ლატი“ ლატვიაში, „ავღანი“ ავღანეთში და ა. შ. (ამ საკითხზე ვრცლად ვწერდით სტატიაში „ქართული ფულის სახელწოდებისათვის“, რომელიც გაზეთ „თავისუფალი საქართველოს“ 1991 წლის 23 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა).

რაც შეეხება მომავალი ხურდა მონეტის სახელს, როგორც ადრეც აღვნიშნავდით, საუკეთესო ვარიანტებად გვესახება: „თეთრი“ ან „კერმა“.

დასასრულ მწამს, რომ ქართველი ეკონომისტები, რომელთაც ეროვნული ფულის აღდგენის ისტორიული მისია აკისრიათ, ყოველმხრივ ეცდებიან, რომ ჩვენმა ვალუტამ წარმატებით დაძლიოს სიძნელეები და ღირსეულად გააგრძელოს ის ტრადიციები, რაც მუდამ გამოარჩევდა ქართულ ფულს, კოლხური მონეტებით დაწყებული და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონებით დამთავრებული.

ნიკო ჯავახიშვილი,
სტუდენტ-ისტორიკოსთა ლიგის წევრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი.

პრობლემა

საქართველოს მეღვინეობა დღეს და ხვალ

რა უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ გამოვუშვათ კონკურენტუნარიანი პროდუქცია და ფართოდ წარვდგეთ საერთაშორისო ბაზარზე?

მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთი ძირითადი და ტრადიციული დარგია. იგი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს რესპუბლიკის ეკონომიკას და განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევისათვის.

როგორია საქართველოს რესპუბლიკის მეღვინეობის დღევანდელი მდგომარეობა, რამდენად მომზადებული ხდება იგი საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მოთხოვნებს, რა უნდა გაკეთდეს უახლოეს პერიოდში ხარისხოვანი მეღვინეობის განვითარებისათვის, საშინაო და განსაკუთრებით საგარეო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის მასობრივი წარმოების უზრუნველსაყოფად? ამასთანავე დღეს რესპუბლიკის მეღვინეობის პროდუქცია სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს, როგორც სახალხო მეურნეობისათვის საჭირო სხვადასხვა სახის პროდუქციაზე გაცვლისათვის, ასევე უცხოეთიდან ვალუტის შემოსატანად. ამ და სხვა საკითხების გადასაწყვეტად ჩვენი რესპუბლიკის ეს ერთ-ერთი ძირითადი და ტრადიციული დარგი, თანამედროვე მეცნიერების მიღწევების საფუძველზე, ღრმა ანალიზსა და სწორ გადაწყვეტას მოითხოვს.

ამ ორიოდე წლის წინათ დამუშავდა საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარების კონცეფციები. მასში ამ დარგების განვითარების რიგი საკითხები განხილული იყო, როგორც საბჭოთა კავშირის ერთიანი ეკონომიკური მექანიზმის ერთ-ერთი რგოლი. მას აქეთ ბევრი რამ შეიცვალა. არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ეკონომიკურ ასპექტშიც და ამ პროგრამაში ჩამოყალიბებული მთელი რიგი საკითხები ახლებურად გააზრებასა და გადაწყვეტას საჭიროებს.

დღეისათვის რესპუბლიკაში ვენახები საზოგადოებრივ სექტორში 78 ათას ჰექტარზეა გაშენებული. სოფლის მეურნეობის ისეთი მრავალფეროვანი და ამავე დროს მცირემიწიანი რესპუბლიკისათვის, როგორიც საქართველოა, ალბათ ეს ციფრი ოპტიმალურადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მეჩხერიანობა საშუალოდ 27-33 პროცენტს შეადგენს, ადვილი წარმოსადგენია თუ რამდენ ყურძენს ვკარგავთ და რამდენი მიწის ფართობია გამოუყენებელი. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ უპირველესად საჭიროა ამ მიმართულებით რადიკალური ღონისძიებების განხორციელება, რომ მნიშვნელოვნად ავამაღლოთ ვენახების საჰექტარო მოსავლიანობა, თორემ, დღეისათვის რესპუბლიკაში იგი ძალზე დაბალია და საშუალოდ 50-60 ცენტნერს არ აღემატება. ისიც სათქმელია, რომ რაოდენობითი მაჩვენებლის გამოდევნების პრაქტიკამ, უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში, რესპუბლიკის მევენახეობასა და მეღვინეობას გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა.

ხარისხოვანი მეღვინეობის შემდგომი განვითარებისათვის გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია მევენახეობის ტრადიციული ზონებისა და მიკრორაიონების მიხედვით ვაზის სამრეწველო ჯიშების სწორი გადაადგილება, იმ ოცამდე ძვირფასი სამრეწველო ვაზის ჯიშებიდან, რომლებიც რეკომენდებულია საუკუნეების მიერ შემოწმებული პრაქტიკითა და მეცნიერთა დაკვირვებებით, საკმაოდ შემცირდა, რადგან ვენახების ფართობებში ზრდა ძირითადად ხდებოდა კახეთში რქაწითელით, ხოლო დასავლეთ საქართველოში ცოლიკოურით. ასე მაგალითად, ამ ხნის მანძილზე საფერავის ვენახების ფართობი კახეთში ერთი სამად და მეტად შემცირდა და დღეისათვის ამ უძვირფასესი ქართული ვაზის ჯიშის ვენახების ფართობი საერთო ფართობების 3,5 პროცენტს ძლივს აღწევს, მაშინ, როდესაც რქაწითელი 85 პროცენტს აღემატება. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ მინიმუმამდე შემცირდა ისეთი მაღალხარისხოვანი სუფრის მშრალი წითელი სამარკო ღვინის გამოშვება, როგორიცაა „მუკუზანი“, რომელსაც თავისი უნიკალური გემოვნებითი თვისებებით, განუმეორებელი ბუკეტითა და მაღალი ღირსებებით საერთაშორისო დეგუსტაციებზე აღტაცებაში მოჰყავდა, ღვინის დაჭაშნიკების მსოფლიოში ცნობილი სპეციალისტები და მრავალი ჯილდო და უმაღლესი შეფასება დაუმსახურებია. შემცირდა აგრეთვე სხვა წითელი სამარკო და ორდინარული სუფრისა, და ბუნებრივად ნახევრადტკბილი იმ ღვინოების დამზადებაც, როგორიცაა მაგალითად „თელიანი“ კაბერნედან, „ყვარელი“, „ნაფარეული წითელი“, „ქინძმარაული“, „ახაშენი“ საფერავიდან და სხვ. გაცილებით მეტ ყურადღებას მოითხოვს კახეთში ვაზის ჯიში მწვანე, განსაკუთრებით საგარეჯოს ზონაში, სადაც მისგან მზადდება უნიკალური თვისებების მქონე ევროპული ტიპის თეთრი სამარკო ღვინო „მანავი“.

კიდევ უფრო რთული მდგომარეობაა დასავლეთ საქართველოს ზონებსა და მიკრორაიონებში. აქ კატასტროფულად მცირდება ვენახების ფართობები ისეთი ცნობილი ღვინოების წარმოებისათვის, როგორიცაა „თეთრა“, „ჩხავერი“, „ოჯალეში“, „ხვანჭკარა“, აგრეთვე „სვირი“, „ცოლიკაური“ და სხვა. მკვეთრად შემცირდა აგრეთვე საშამპანურე ვაზის ჯიშების „პინოს“, „ციცქის“ და სხვა ფართობები, ამიტომ მინიმუმამდე შემცირდა საშამპანურე ღვინომასალების გამომუშავება და ქარხნებში მაღალხარისხოვანი ნედლეულის მწვავე დეფიციტია.

აღნიშნული სხვა ფაქტორებთან ერთად იმანაც განაპირობა, რომ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არსებობდა ყოვლად გაუმართლებელი დისპროპორცია ყურძნის შესასყიდ და მზა პროდუქციის ფასებს შორის. ეს მდგომარეობა დღეისათვის თითქმის გამოსწორდა და იგი საგრძნობლად გაზრდის მევენახეთა დაინტერესებას, უდავოდ ხელს შეუწყობს დარგის აღორძინებას.

საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი ღვინის პროდუქციის გამოშვებისათვის აუცილებელი პირობაა ყურძნის ხარისხობრივი მაჩვენებლების ამაღლება. ამიტომ კატეგორიულად უნდა აიკრძალოს ტექნიკურ სიმწიფეს მიუღწეველი ყურძნის მოკრეფა და გადამუშავება. უნდა აღდგეს ძველი ტრადიცია, როდესაც დამპალი და დაზიანებული ყურძენი ცალკე იკრიფებოდა და ის ყურძნის საერთო მასაში არ ერეოდა. პრაქტიკა ადასტურებს, რომ ჰექტარზე 130-135 ცენტნერზე მაღალი მოსავლის მიღებისას ყურძნის შაქრიანობა ვერ აღწევს 19-20 პროცენტამდე, რაც აუცილებელია მაღალხარისხოვანი ღვინის დასამზადებლად. ეს განსაკუთრებით ეხება იმ ზონებს, რომლებიც მაღალხარისხოვანი საექსპორტო ღვინის პროდუქციას იძლევიან, ამ მიმართულებით კიდევ უფრო უნდა, დაიხვეწოს ყურძნის მწარმოებლის მატერიალური დაინტერესება. იმ ანგარიშით, რომ მევენახისათვის ეკონომიკურად გაცილებით ხელსაყრელი და მომგებიანი იყოს მაღალხარისხოვანი და სათანადო კონდიციების მქონე ყურძნის მიღება და მისი მარანში ჩაბარება. მაშასადამე, ერთნაირად უნდა გაიზარდოს დაინტერესება საბოლოო შედეგებისადმი, როგორც მეღვინის, ისე მევენახის მხრიდან.

მაღალხარისხოვანი ყურძნის ნედლეულით მეღვინეობის მრეწველობის უზრუნველყოფის საქმეში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება პირველადი ღვინის ქარხნებისა და მევენახეობის მეურნეობების ურთიერთკავშირს. ამ საკითხზე წლების განმავლობაში გრძელდება ურთიერთსაწინააღმდეგო კამათი. სპეციალისტთა ერთი ნაწილი თვლის, რომ მევენახეობის მეურნეობა და პირველადი ქარხანა ერთმანეთისაგან ხელოვნურად არის გამიჯნული და საჭიროა მათი გაერთიანება. მეორე ნაწილი უპირატესობას მათ ცალ-ცალკე ყოფნას ანიჭებს. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და სოფლად პრივატიზაციის განხორციელებასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია პირველადი მეღვინეობის ქარხნები და მეურნეობები ადმინისტრაციულად ერთმანეთთან კი არ იყვნენ დაკავშირებული, არამედ, პირიქით, ერთმანეთისაგან გამიჯნული და მათი ურთიერთდამოკიდებულება ხორციელდებოდეს საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ურთიერთობებით, ისევე, როგორც დღეს არის პირველადი ღვინის ქარხანასა და გლეხურ მეურნეობებს შორის. მით უმეტეს, რომ სოფლად პრივატიზაციის პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებით, როდესაც უზრუნველყოფილი იქნება საკუთრების სხვადასხვა ფორმებისა და სახეების თანასწორუფლებიანობა, გლეხური მეურნეობების რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზრდება. აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ უახლოეს პერიოდში უნდა განხორციელდეს ღვინის ქარხნების გადაცემა შრომითი კოლექტივებისათვის, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ ამ ქარხნებში და მომსახურებას უწევენ მათ. მაგრამ იქ, სადაც შრომითი კოლექტივები გადაწყვეტენ ერთად ყოფნას, მათ ხელი არ უნდა შევუშალოთ. შრომითი კოლექტივების ასეთი ინიციატივებით ზოგიერთ რაიონში უკვე შექმნილია აგროფირმები, მაგალითად, „ნაფარეული“, „კარდანახი“ და სხვა. ისინი წარმატებით მუშაობენ და მაღალ შედეგებსაც აღწევენ.

ამდენად საჭიროა, ყურძნის მწარმოებელსა და გადამამუშავებელს შორის ურთიერთკავშირის არსებული სისტემის ახლებური გააზრება, იმ ანგარიშით, რომ ღვინის რეალიზაციის შედეგად მიღებული მოგების გარკვეული ნაწილი ყურძნის მწარმოებელს უბრუნდებოდეს. ეს სისტემა მნიშვნელოვნად გაზრდის მევენახეთა დაინტერესებას, უზრუნველყოფს ღვინის მრეწველობას მაღალხარისხოვანი ყურძნის ნედლეულით და თავისთავად მოხსნის ყურძნის მწარმოებელსა და გადამამუშავებელს შორის ადმინისტრაციული ურთიერთდაქვემდებარების საკითხს. ეს კი მოითხოვს მეღვინეობის პროდუქციაზე ისეთი ფასწარმოქმნის მექანიზმის დადგენას, როდესაც ყურძნის შესასყიდი და ღვინის გასაყიდი ფასების რეგულირება მოხდება საბაზრო მოთხოვნებით, განსაკუთრებით ეს ეხება ექსპორტს, სადაც გადამწყვეტი როლი პროდუქციის ხარისხს ენიჭება.

ქართული ღვინის ხარისხის შემდგომი ამაღლებისათვის გადაუდებელ ღონისძიებას წარმოადგენს ამ დარგის საწარმოთა ტექნიკური ხელახალი შეიარაღება მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. ამ მხრივ ჩვენი მრეწველობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება მსოფლიოს მრავალ ქვეყნებს. რომ აღარაფერი ვთქვათ მეღვინეობის ისეთ მოწინავე ქვეყნებზე, როგორიცაა საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია და სხვა. 70 წლის განმავლობაში კომუნისტური რეჟიმის მიერ დამკვიდრებულმა მავნე პრაქტიკამ, როდესაც ქართული ღვინის პროდუქცია ძირითადად გამიზნული იყო რუსეთის ბაზრისათვის, სადაც თითქმის არ არსებობდა და დღესაც არ არსებობს არავითარი კონკურენცია, რაც მდარე ხარისხის პროდუქციის ადვილად რეალიზაციის საშუალებას იძლეოდა, ამან სავალალო მდგომარეობაში ჩააყენა ჩვენი ღვინის მრეწველობა და მისი ტექნიკური აღჭურვილობის დონე. ეს მდგომარეობა სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს. საჭიროა შევაიარაღოთ წარმოებები მაღალხარისხოვანი ყურძნის გადამამუშავებელი ხაზებით, დუღილის წინ ტკბილის დასაწმენდად და ღვინის ტექნოლოგიური დამუშავებისათვის ფართოდ გამოვიყენოთ ცენტრიფუგები, მემბრანული ფილტრები, სიცივითა და სითბოთი დამუშავების დანადგარები და სხვა. ამასთან პროდუქციის ჩამოსხმა უნდა მოვახდინოთ მაღალეფექტური სტერილური ხაზებით. ყველაფერი ეს გააუმჯობესებს ღვინის ხარისხს და მნიშვნელოვნად აამაღლებს ბოთლებში ჩამოსხმული პროდუქციის ხანგრძლივი პერიოდით მდგრადობას, რაც ესოდენ საჭიროა ქართული ღვინოებისათვის.

რესპუბლიკაში სამარკო ღვინოების წარმოების შემდგომ გაზრდას მნიშვნელოვანწილად აფერხებს დასაძველებელი სათავსოების ნაკლებობა. ეს დეფიციტი უნდა შეივსოს როგორც არსებული ღვინის ქარხნების რეკონსტრუქციისა და გაფართოების, ასევე ერთი ან ორი ახალი ქარხნის მშენებლობით. ამასთანავე უფრო ეფექტიანად უნდა გამოვიყენოთ ქინძმარაულის, წინანდლისა და სხვა უნიკალური ღვინის საცავები. დღეისათვის ღვინის ქარხნებში ხარისხიანი ტარის მწვავე დეფიციტია. სამაგიეროდ დიდი რაოდენობით დაგროვდა მეღვინეობისათვის გამოუსადეგარი უვარგისი მოუკალავი ტარა, რომელიც აუცილებლად უნდა შეიცვალოს მომინანქრებული ცისტერნებითა და მუხის ბუტებით. უამისოდ კონკურენტუნარიანი ღვინის წარმოებას ვერ განვახორციელებთ. აღნიშნული პრობლემების მოგვარება საშუალებას მოგვცემს ფართოდ გავიდეთ საერთაშორისო ბაზარზე და გადავიდეთ ექსპორტში ღვინომასალების მიწოდების ნაცვლად ბოთლებში ჩამოსხმული პროდუქციის მიწოდებაზე, რაც გაცილებით მომგებიანი და პრესტიჟულია.

გადაუდებელ საქმედ გვესახება აგრეთვე ქართული ღვინის პროდუქციის ასორტიმენტის კრიტიკული გაანალიზება და მისი შემდგომი დახვეწა. საქართველოში ამჟამად ექვს ათეულზე მეტი დასახელების ღვინო გამოდის. მრავალმა მათგანმა, როგორიცაა „წინანდალი“, „მუკუზანი“, „ნაფარეული“, „გურჯაანი“, „მანავი“, „ხვანჭკარა“, „ქინძმარაული“, „ოჯალეში“, და სხვა საყოველთაო აღიარება მოიპოვა არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც და მათზე მოთხოვნილება განუხრელად იზრდება. მაღალხარისხოვან სამარკო ღვინოებთან ერთად რესპუბლიკაში გამოდის აგრეთვე საშუალო ღირსების მრავალი დასახელების ღვინო, რაც არაფრით არ არის გამართლებული. ვფიქრობთ უმჯობესი იქნება შევამციროთ მათი ასორტიმენტი, მაღალხარისხოვანი პროდუქციის ასორტიმენტის გაზრდის ხარჯზე, რამდენადაც ამას ყურძნის კონდიციები და მისი ხარისხობრივი მაჩვენებლები მოგვცემენ საშუალებას. ამასთან, საქართველოს უნიკალური ვაზის ჯიშების სიმრავლე, ბუნებრივი, ნიადაგობრივი და კლიმატური პირობების მრავალფეროვნება, აგრეთვე მეღვინეობის მდიდარი ტრადიციები საშუალებას გვაძლევს შევუდგეთ წარმოშობის მიხედვით გასაკონტროლებელ დასახელებათა ღვინის ასორტიმენტის წარმოებას, ისევე, როგორც ეს მიღებულია მეღვინეობის მრავალი ქვეყნის პრაქტიკაში. ამასთან, საჭირო იქნება ამ პროდუქციის მისაღები მევენახეობის მიკრორაიონები გამოცხადდნენ ნაკრძალების რეჟიმის ზონად. საერთაშორისო ბაზარზე ასეთი პროდუქცია უფრო პოპულარულია და მეტიც ფასობს. სამწუხაროდ ამ მიმართულებით ჯერჯერობით პრაქტიკული ნაბიჯები გადადგმული არ არის, დრო კი არ ითმენს.

ნაკრძალების ზონებად უნდა გამოცხადდნენ აგრეთვე ისეთი საყოველთაოდ ცნობილი სამარკო ღვინოების მომცემი ზონები, როგორიცაა „წინანდალი“, „მუკუზანი“, „ნაფარეული“, „თელიანი“. „გურჯაანი, „მანავი“ და სხვა, რაც ხელს შეუწყობს მათი წარმოების მოცულობის სტაბილიზაციასა და შემდგომ ზრდას.

მეტი ყურადღება და დახმარება სჭირდება შამპანურის მრეწველობას, რომელსაც ბევრი პრობლემა დაუგროვდა. ნედლეული ბაზის უკმარისობასთან ერთად, რაზეც ზემოთ უკვე ვთქვით, გადაუდებელია დარგის აღჭურვა მაღალი წარმადობის ჩამომსხმელი ხაზებით, ხარისხოვანი ტარითა და სხვადასხვა მასალებით, უზრუნველყოფა, არადა შამპანურზე მოთხოვნა განუხრელად იზრდება, როგორც ჩვენში, ისე საერთაშორისო ბაზარზე და მისი წარმოება მეტად რენტაბელურია. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა შამპანურის წარმოება უახლოეს წლებში ავიყვანოთ 28-30 მილიონ ბოთლამდე წელიწადში, როგორც ეს დასახული პროგრამით არის გათვალისწინებული.

რამდენიმე სიტყვას ვიტყვით აგრეთვე კონიაკის წარმოების თაობაზე. საკონიაკე ღვინომასალების დამზადებისა და მათი გამოხდის შემცირების ტენდენციის გამო მცირდება კონიაკის პროდუქციის წარმოების მოცულობა. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია გაიზარდოს მაღალხარისხოვანი სამარკო კონიაკების წარმოების მოცულობა 20-22 პროცენტამდე ორდინარული კონიაკების წარმოების შემცირების ხარჯზე და კონიაკის მთელი პროდუქციის ჩამოსხმა ბოთლებში მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ რესპუბლიკის შიგნით, რაც მეტ მოგებას მოგვცემს. ამასთანავე საჭიროა პირველადი ღვინის ქარხნების შემდგომი სპეციალიზაცია მაღალხარისხოვანი საკონიაკე სპირტების მისაღებად.

მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს აგრეთვე მაღალალკოჰოლიანი ლიქიორ-არყის პროდუქციის წარმოებისა და მისი ასორტიმენტის გაფართოებას. ტრადიციულად ამ პროდუქციას თავისი მომხმარებელი ჰყავს, განსაკუთრებით რესპუბლიკის გარეთ და. მათი წარმოება მეტად რენტაბელურია. მისასალმებელია, რომ ჩვენი პროდუქცია თანდათან იკვლევს გზას საერთაშორისო ბაზარზე. მაგალითად, ქართული არაყი „ტარხუნა“ პოპულარობით სარგებლობს უცხოეთში, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ მხრივ ჩვენ ფართო შესაძლებლობები გვაქვს. უფრო ეფექტიანად უნდა გამოვიყენოთ რესპუბლიკის მრავალფეროვანი ძვირფასი მცენარეული ნედლეული სხვადასხვა სახის ბუნებრივი ნატურალური არომატიზატორების მისაღებად და მათი გამოყენებით ახალი სახის როგორც მაღალალკოჰოლიანი, ასევე ღვინის პროდუქციის ახალი ასორტიმენტის შესაქმნელად. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, რომელიც მომავალში უნდა გაღრმავდეს.

საერთაშორისო ბაზარზე გასვლა წარმოუდგენელია პროდუქციის სათანადოდ გაუფორმებლად და ურეკლამოდ. უცხოეთის ფირმები ამ მიზნით არ იშურებენ სახსრებს და მოგების მნიშვნელოვან ნაწილს. ჩვენთან ეს საქმე ფაქტიურად ახლიდანაა დასაწყები. კარგად უნდა გავიაზროთ, როგორი უნდა იყოს, ჩვენი პროდუქციის გაფორმება და რეკლამა. ცნობილია, რომ მომხმარებელი ჯერ ბოთლის გარეგანმა ესთეტიკურმა გაფორმებამ უნდა მოხიბლოს, ხოლო ამის შემდეგ ღვინის გამჭვირვალებამ, სასიამოვნო ფერმა და მაღალი გემოვნების თვისებებმა. რატომ არ უნდა გაეწიოს რეკლამა, მაგალითად, იმას, რომ ქართულ ღვინოებს მაღალ კვებით და გემოვნებით თვისებებთან ერთად ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მნიშვნელოვანი შემცველობის გამო გააჩნიათ ანტისკლეროზული, ანტიბაქტერიოციდული, ადამიანის ორგანიზმიდან რადიოაქტიური ელემენტების გამოდევნის უნარი და სხვა. ან კიდევ, რატომ არ უნდა ჰქონდეს ჩვენს სახელგანთქმულ სამარკო ღვინოებს ეტიკეტზე აღნიშნული ფირმის ან ღვინის მარკის დაარსების წელი, რასაც საზღვარგარეთის ფირმები ასე მოხერხებულად იყენებენ თავიანთი პროდუქციის პოპულარიზაციისა და რეკლამისათვის, რითაც დიდ შედეგს აღწევენ. ხომ ცნობილია მაგალითად, რომ ღვინო „წინანდალმა“ პირველად ჯერ კიდევ გასული საუკუნის მეორე ნახევარში ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ჩიკაგოში გამართულ ღვინოების მსოფლიო დეგუსტაციაზე უმაღლესი შეფასება და ოქროს მედალი დაიმსახურა, უნდა დავაჩქაროთ დაინტერესებულ საზღვარგარეთის ფირმებთან მეღვინეობის ერთობლივი საწარმოების შექმნა და მის საფუძველზე ამ დარგის წარმოების ეფექტიანობის ამაღლება.

მეღვინეობის საწარმოთა დეცენტრალიზაციისა და შრომითი კოლექტივებისათვის მათ მომავალ გადაცემასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია შემუშავდეს პროდუქციის ხარისხის მართვისა და კონტროლის უფრო ეფექტური სისტემა. საბოლოო პროდუქციის ფიზიკურ-ქიმიური შემადგენლობისა და სხვა ხარისხობრივი მაჩვენებლების თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე შესწავლა და მასზე ხარისხის დამადასტურებელი სათანადო სერტიფიკატის გაცემა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს ეხება საექსპერტო დანიშნულების პროდუქციას, სხვადასხვა ბიუროკრატიული ინსპექციების ნაცვლად რესპუბლიკის შესაბამის მოთავე სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებს უნდა დაეკისროს. რაც შეეხება წარმოების ტექნოლოგიური პროცესების დაცვას და მათ დროულად და სათანადო დონეზე ჩატარების კონტროლს, ეს თვით ღვინის ქარხნებს უნდა მივანდოთ, რამეთუ ყველაზე მეტად თვითონ არიან დაინტერესებული გამოუშვან მაღალხარისხოვანი პროდუქცია და მიიღონ მეტი ანაზღაურება და მოგება. ყოველივე ეს უზრუნველყოფს მუშაობაში უფრო მეტ კომპეტენტურობას და აამაღლებს წარმოების მუშაკთა და მეცნიერთა ერთობლივ პასუხისმგებლობას სარეალიზაციოდ განკუთვნილი პროდუქციის ხარისხზე.

დარგის წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი როლი მეცნიერებამ უნდა შეასრულოს. საჭიროა გაღრმავდეს სამეცნიერო კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები ისეთი პრიორიტეტული მიმართულებებით, როგორიცაა ყურძნის გადამუშავების, ტკბილის დაწმენდისა და დუღილის ოპტიმალურ ტემპერატურულ პირობებში ჩატარების ეფექტური და რაციონალური გზების ძიება, ღვინის ტექნოლოგიური დამუშავებისა და სტაბილიზაციის მეთოდების შემდგომი გაუმჯობესება და სრულყოფა, ამ მიზნით ადგილობრივი ბუნებრივი მაღალაქტიური გამწმენდავი ნივთიერებების, კერძოდ ცეოლიტების, ბენტონიტების, დიატომიტების, აგრეთვე ახალი ფიზიკური მეთოდების გამოყენებით, რათა მივაღწიოთ ღვინის ხანგრძლივი პერიოდით მდგრადობას, მასში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მაქსიმალური შენარჩუნებით და პროდუქციის გემოვნებითი თვისებების მკვეთრ გაუმჯობესებას.

დღევანდელ რთულ ეკოლოგიურ პირობებში საჭიროა გაღრმავდეს აგრეთვე კვლევა-ძიება მეღვინეობის მეორადი ნედლეულის კომპლექსური გადამუშავების ეკოლოგიურად სუფთა, უნარჩენო ტექნოლოგიების დამუშავებასა და წარმოებაში მათი ინტენსიური დანერგვისათვის. ამისათვის ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ბიოტექნოლოგიის თანამედროვე მიღწევები. პარალელურად უნდა დავაჩქაროთ საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ შექმნილი ჭაჭის, სხვადასხვა სახის ლექების, მათ შორის ტოქსიკური ნივთიერების შემცველი ლექების, უნარჩენო გადამუშავებისა და მათგან უმეთანოლო სპირტის, ცილების, ცხიმების, პექტინის, სალებავის, ღვინის მჟავის, ფიტინისა და სხვა კვებითი პროდუქტების მიღების ტექნოლოგიების წარმოებაში დანერგვა. ეს საშუალებას მოგვცემს დავიცვათ ბუნება და რაციონალურად გამოვიყენოთ ყურძნის რესურსები.

რახან ეკოლოგიას შევეხეთ, ისიც უნდა ითქვას, რომ მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ღვინის ქარხნებში გამწმენდი ნაგებობების მოწყობისა და მათს სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას. დასამალი როდია, რომ არაკვალიფიციური ექსპლოატაციის გამო მათი დიდი უმრავლესობა, განსაკუთრებით პირველადი ღვინის ქარხნებში, არ მოქმედებს ან გამოსულია მწყობრიდან.

მეღვინეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და რესპუბლიკის პოტენციალის უფრო ეფექტიანი გამოყენებისათვის საჭიროა ამ დარგის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების მუშაობის სწორი კოორდინაცია, რაც, სამწუხაროდ, დღეისათვის არ ხდება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს საქმე საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ უნდა ითავოს. საჭიროა აგრეთვე მეცნიერული კვლევის დაფინანსების არსებული სისტემის ძირეული გაუმჯობესება და სრულყოფა, რომლის მიხედვითაც შემკვეთის როლში ძირითადად წარმოებები გამოდიან. მათ ხშირად არა აქვთ საშუალება უშუალოდ დააფინანსონ დარგის წინაშე მდგომი ესა თუ ის აქტუალური პრობლემა, გარდა ამისა, დაფინანსების ასეთი პრაქტიკა არც სათანადო ეკონომიკურ უკუგებას იძლევა. ამიტომ, ერთიანი მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის განხორციელებისათვის საჭიროა დამკვეთის როლში გამოდიოდეს სოფლის, სატყეო და კვების მრეწველობის სამინისტრო, ან სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია და მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტრო, რადგან ისინი ყველაზე მეტად არიან დაინტერესებული ტექნიკური პროგრესის დაჩქარებით. ამასთანავე სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების თემატიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს როგორც პრიორიტეტული მიმართულებების გამოყენებითი ხასიათის კვლევებს, ასევე დარგში ფუნდამენტური გამოკვლევების პროგრამების დამუშავებას და ცენტრალიზებული ხაზით მათ დაფინანსებას. ამასთან საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა საწარმოო და მატერიალურ-ტექნიკური ბაზების განმტკიცების საქმეს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა გახლავთ აგრეთვე კადრების საკითხი. ამ დარგში, ისევე, როგორც სახალხო მეურნეობის ბევრ სხვა დარგში, ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადებისა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების არსებული სისტემა სერიოზულ გადახედვასა და ძირეულ სტრუქტურულ ცვლილებებს მოითხოვს. სასწავლო პროგრამები გადატვირთულია მეორეხარისხოვანი დისციპლინებით, ნაკლები ყურადღება ექცევა დამამთავრებელ კურსებზე სტუდენტთა სერიოზულ პრაქტიკულ და კვლევით მუშაობაში ჩართვას, სიახლეებისადმი ინტერესის გაძლიერებას და სხვა. სადაო როდია, რომ უამისოდ წარმოუდგენელია სრულფასოვანი სპეციალისტების ჩამოყალიბება. საჭიროა სპეციალისტებს ფართოდ შევასწავლოთ საბაზრო ეკონომიკის პირობებში წარმოების ეფექტიანი მართვის საკითხები, მარკეტინგის საფუძვლები და თანამედროვე მენეჯმენტი, საგარეო ეკონომიური ურთიერთკავშირების, ერთობლივი საწარმოების შექმნისა და სხვა საკითხები. პრაქტიკაში გაბედულად უნდა შემოვიღოთ როგორც პერსპექტიული, ნიჭიერი სტუდენტების, ასევე უნარიანი და გამოცდილი სპეციალისტების მოწინავე უცხოეთის ფირმებში კვალიფიკაციის ასამაღლებლად მივლინება.

ზემოაღნიშნული ღონისძიებების თანამიმდევრული განხორციელება საშუალებას მოგვცემს უზრუნველვყოთ კონკურენტუნარიანი პროდუქციის მასობრივი წარმოება, რაც ერთ-ერთი პირობაა იმისა, რომ ფართოდ, დაუბრკოლებლად გავიდეთ საერთაშორისო ბაზარზე.

თენგიზ ნანიტაშვილი,
საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას

ავს თუ ავი არ ვუწოდეთ

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 1991 წლის 31 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის წერილი, რომელშიც რესპუბლიკის პროკურატურა ცალმხრივად იცავს დუშეთის რაიონის პროკურორის ინტერესებს და პირდაპირ თავს ესხმის დუშეთის რაიონის ხელმძღვანელობას, რაიონის პრეფექტურას და პირადად პრეფექტს.

აღნიშნულმა წერილმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია დუშეთის რაიონის მოსახლეობაში. გვირეკავენ, პრეფექტურაში მოდიან მშრომელები, პროტესტს გამოთქვამენ საქმისადმი რესპუბლიკის პროკურატურის მხრივ ტენდენციური მიდგომის გამო. ამიტომ თავი ვალდებულად ჩავთვალეთ პასუხი გაგვეცა პროფესიონალიზმის თვალსაზრისით ამ არცთუ უნაკლო წერილზე. საქმეში გარკვეულმა დუშეთის რაიონის მოსახლეობამ კარგად უწყის საქმის ნამდვილი მიზეზი. მათ კარგად მოეხსენებათ, რომ მაღაროსკარისა და ფხოვის კოლმეურნეობების პრივატიზაციის წინააღმდეგ გალაშქრებულმა და კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების 77-ე მუხლს ამოფარებულმა დუშეთის რაიონის პროკურორმა ბატონმა ელგუჯა ბადრიძემ ბოლოს და ბოლოს იპოვა „საბაბი" და გზა მისცა გულში დაგუბებულ ბოღმას. ამიტომ, მივიჩნევთ რა უმართებულოდ აღნიშნული წერილის არსს, ჩვენი მხრივ შევეცდებით რამენაირად „ვიმართლოთ" თავი. სანამ აღნიშნული წერილის ჩვენეულ ანალიზს შემოგთავაზებდეთ, გვინდა მცირეოდენი განმარტება მივაწოდოთ გაზეთის მკითხველს იმის შესახებ, თუ საიდან დაიწყო რაიონის პრეფექტურისა და პროკურატურის ურთიერთდაპირისპირება. უფრო სწორად, დაპირისპირება პრეფექტურასა და პროკურატურას შორის არ დაწყებულა, საქმის ასეთი სურათის დახატვა რაიონის პროკურორს ბატონ ელგუჯა ბადრიძეს და მასთან შეხიზნულ ოპოზიციონერთა მცირე ჯგუფს სურს. დაპირისპირება მაშინ დაიწყო, როდესაც კომუნისტური პარტიის ერთგული პროკურორი საქართველოს ეროვნული მოძრაობის მიმართ პასკვილების შეთხზვას შეუდგა და არჩევნების წინა პერიოდში რაიონულ პრესაში გამოქვეყნებული წერილებით კომპარტიის ურყევი ძალის რწმენას უქადაგებდა მოქალაქეებს; როდესაც საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიკომის შენობის წინ საპროტესტო აქციის მონაწილე, საქართველოს ჰელსინკის კავშირის დუშეთის განყოფილების მოშიმშილე წევრებს ყველას გასაგონად „კოტრიალა ლაზღანდარებს" ეძახდა და კომუნისტური ხელისუფლებისადმი პროტესტის ასეთი ფორმით გამოხატვის გამო ციხეში ამოლპობით ემუქრებოდა; ურთიერთდაპირისპირება მაშინ დაიწყო, როდესაც საქართველოს ჰელსინკის კავშირის დუშეთის განყოფილების ინიციატივით ქ. დუშეთში ლენინის ქუჩის გაუქმებისა და მისთვის სულმნათი მერაბ კოსტავას სახელის მინიჭების შემდეგ ამ ქუჩაზე ლენინის სახელობის მხოლოდ ერთი სახლი — რაიპროკურატურის შენობა დარჩა; ურთიერთდაპირისპირება მაშინ დაიწყო, როდესაც დუშეთის კულტურისა და დასვენების პარკში აფეთქდა „დიდი" ლენინის ძეგლი. კანონის დარღვევით აღშფოთებული რაიონის პროკურორი ეროვნულ მოძრაობაში „ეჭვმიტანილ" ყველა ადამიანს კვლავ ციხეებითა და გაციმბირებით ემუქრებოდა, როცა რაიპროკურატურაში იბარებდა წვევამდელ ახალგაზრდებს, მოუწოდებდა მათ იმპერიულ ჯარში სამსახურისათვის... რა თქმა უნდა, ურთიერთდაპირისპირება არც რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებში ეროვნული ძალების მოსვლის შემდეგ შეიცვლებოდა, რაიონის პროკურორმა ბატონმა ბადრიძემ ნოსტალგიის ტყვეობას ვერ დააღწია თავი და ახალგაზრდული კავშირის ე. წ. „საკი"-ს უერთგულეს მოღვაწეთა მითითებით ახორციელებდა თავის „საპროკურორო ზედამხედველობას". საკავშირო პუტჩის და ჩვენდა სავალალოდ, „დემოკრატიული" პუტჩის მცდელობის შემდეგ კიდევ უფრო გამოიკვეთა პროკურორის ნამდვილი სახე. მის ირგვლივ გაერთიანდნენ მერაბ კოსტავას საზოგადოების, მწვანეთა მოძრაობის, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის, ახალგაზრდული კავშირის ე. წ. „საკი"-ს ოპოზიციური წარმომადგენლები, საქართველოს „დემოკრატიული" მოძრაობის დუშეთის განყოფილების წევრები. განა არ იყო პრეფექტურა ვალდებული ყურადღება გაემახვილებინა ეროვნული ხელისუფლების „სამსახურში ჩამდგარი" პროკურორისა და ოპოზიციურად განწყობილი ადამიანების საეჭვო ალიანსზე? მათ ხომ ვითომ დამოუკიდებელი რაიონული გაზეთი „არაგვი"-ც საკუთარ რუპორად გადააკეთეს. ვინ ესხმოდა თავს რაიპროკურატურის შენობის წინ მოწყობილი აქციის მონაწილე ფშავლებს? მართლა დუშეთის საზოგადოების მოთხოვნით იქნა იგი აღკვეთილი როგორც ეს რესპუბლიკის პროკურატურის წერილშია წარმოჩენილი, თუ ხელისუფლების მიმართ მტრულად განწყობილი „დემოკრატების" მიერ იქნა დარბეული?

ახლა რაც შეეხება აღნიშნულ წერილს და მასში მოყვანილ ფაქტებს.

1991 წლის 19 აგვისტოს ჩატარდა მაღაროსკარის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრება, რომლის გადაწყვეტილებით გაუქმდა აღნიშნული კოლმეურნეობა და შეიქმნა კოლმეურნეობის სალიკვიდაციო კომისია. რაიონის პროკურატურამ, რომლის მუშაობასაც იმჟამად პროკურორის ბატონ ე. ბადრიძის შვებულებაში ყოფნასთან დაკავშირებით პროკურორის თანაშემწე ბატონი ზ. კობიაშვილი წარმართავდა, მოითხოვა კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების 77-ე მუხლის განუხრელი დაცვა. სხვათა შორის, პროკურატურის აღნიშნულ წერილში, რატომღაც არსადაა მოხსენიებული მთავარი მოქმედი პირის, რაიონის პროკურორის ბატონ ელგუჯა ბადრიძის სახელი. იქნებ იმიტომ, რომ იგი ამ დროს შვებულებაში იმყოფებოდა (ისიც საკითხავია, ჰგავს თუ არა პროკურორის ასეთი საქციელი განზრახ ჩრდილში დგომას და აქვს თუ არა რაიონის პროკურორს უფლება შვებულებაში გავიდეს მთელი წლის მოსავლის აღება-დაბინავების საპასუხისმგებლო მომენტში)? არა ბატონებო, სინამდვილეში პროკურორი საქმის კურსში იყო და ყოველივე მისი მითითებით კეთდებოდა. წერილის ავტორებმა უბრალოდ ამჯობინეს მიეჩქმალათ პროკურორის სახელი და რაიონის პრეფექტზე თავდასხმით ორი კურდღელი დაეჭირათ, საქმე ისე წარმოეჩინათ, თითქოს რაიონის პროკურატურას წმინდა წყლის კანონის დარღვევასთან ჰქონდა საქმე. სინამდვილეში როგორი იყო რეალობა? ჯერ კიდევ კომუნისტების პარპაშის დროს ფშავის ლაშარის ჯვრის საყმო ცდილობდა აღნიშნული კოლმეურნეობის დაშლას და მისი ქონების მოსახლეობისათვის განაწილებას. ეს პროცესი ფაქტობრივად მაშინ დაიწყო. ვინც მთას კარგად იცნობს, დაგვერწმუნება, რომ ის ერთხელ აგორებული ქვის შეჩერება, მით უმეტეს ისეთ პირობებში, როდესაც ყველაფერი საბაზრო ეკონომიკისა და პრივატიზაციისაკენ მიდის, თითქმის შეუძლებელია. 1991 წლის 19 აგვისტოს მაღაროსკარის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების ჩატარების მომენტში კოლმეურნეობა თითქმის დაშლილი იყო. უპატრონოდ, მწყემსების გარეშე იყო დარჩენილი პირუტყვი, ხდებოდა დატაცება, ნიავდებოდა საკოლმეურნეო დოვლათი. პრეფექტურამ მხარი დაუჭირა კრების გადაწყვეტილებას იმის გამო, რომ სალიკვიდაციო კომისიის შექმნით კანონის ფარგლებში ჩაეყენებინა ფაქტობრივად ადრე დაწყებული შლის პროცესი კოლმეურნეობაში. სწორედ სალიკვიდაციო კომისიას უნდა გადაეწყვიტა და დაეცვა კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების 77-ე მუხლით გათვალისწინებული პირობები. მოსახლეობა პრივატიზაციას მოითხოვდა, პროცესი უმართავი ხდებოდა, ნუთუ რაიონის პროკურატურას შეეძლო სახალხო დოვლათის განიავება-დატაცების გულგრილი მოწმე ყოფილიყო, ვინ აგებდა ამისათვის პასუხს? სად იყო ამ დროს რაიონის პროკურატურა თავისი ჩვეული ენერგიით? დავუშვათ კოლმეურნეობის საერთო კრების გადაწყვეტილება აშკარად არღვევდა ყბადაღებულ 77-ე მუხლს და ამით ხელ-ფეხს უხსნიდა კანონის უგულებელყოფას. შეეძლო თუ არა ამ დროს პროკურატურას სრულად გამოეყენებინა თავისი საპროკურორო ზედამხედველობა, აღეკვეთა კანონის დარღვევა, ტაბუ დაედო კოლწევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებისათვის, შეეჩერებინა სალიკვიდაციო კომისიის საქმიანობა, შეექმნა სათანადო ოფიციალური დოკუმენტი და ამის შესახებ ოფიციალურად ეცნობებინა პრეფექტურისა და სხვა ზემდგომი ორგანოებისათვის? დავიჯეროთ გაბოროტებამ, შურმა და ჯიბრმა იმ დონემდე მიიყვანა, რომ ცდილობდა რაიონის ხელმძღვანელობის უკანონობის ჭაობში ჩათრევას?! სახელმწიფო ვალების გადახდის გარანტიით „შეწუხებული" პროკურორი თავად თუ გაეცნო აღნიშნულ კოლმეურნეობათა საერთო ქონების ოდენობას? რაც შეეხება პრეფექტურას, მას ბრმად არ შეუწყვია ხელი კოლწევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებისათვის, სალიკვიდაციო კომისიის შექმნით ჩვენ უბრალოდ შევეცადეთ ხელი შეგვეწყო კონტროლის დაწესებაზე სანახევროდ დაშლილი კოლმეურნეობის ქონების კანონიერი განაწილებისათვის.

გაგაცნობთ ჩვენ მიერ აღნიშნულ საკითხზე გაგზავნილი შეკითხვის პასუხს სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროდან: „1991 წლის 1 იანვრის ბალანსით მაღაროსკარის კოლმეურნეობის ძირითადი საბრუნავი ფონდების ღირებულება 3,9 მილიონ მანეთს, ხოლო ფხოვის კოლმეურნეობის 1,7 მილიონ მანეთს შეადგენს. ამასთან ბალანსებში საბრუნავი ფონდების ღირებულება ასახულია თვითღირებულებით, მაშასადამე, შესასყიდი ფასებით მათი ღირებულება გაცილებით მეტია.

აქედან გამომდინარე ამ კოლმეურნეობაზე რიცხული ბანკის სესხების დავალიანება მთლიანად უზრუნველყოფილია ძირითადი და საბრუნავი ფონდების ღირებულებით. ეს უკანასკნელი აღემატება ბანკის სესხების დავალიანებებს შესაბამისად 1,6 და 0,7 მილიონი მანეთით". წერილს ხელს აწერს მინისტრის მოადგილე რ. გოგოხია. ასე რომ, უსაფუძვლოდ „შეშფოთდით" ბატონო პროკურორო კოლწევრთა ხელფასის აზღაურებასაც რამენაირად შეძლებს სალიკვიდაციო კომისია.

იქნებ უკეთესი იყო დუშეთის რაიონის პროკურატურას ისეთივე ენერგიული და ოპერატიული მოქმედების ხერხები, როგორც ეს მან პროკურატურის შენობის წინ მჯდომარე მშვიდობიანი აქციის წინააღმდეგ გამოიყენა, გამოეყენებინა ამა წლის 17 მარტს დუშეთის რაიმილიციის სამორიგეო ნაწილზე თავდამსხმელთა წინააღმდეგ. ზოგიერთი ხომ ამჟამად პროკურატურის წინ მჯდომარე მშვიდობიანი აქციის მონაწილეთ არბევდა და ამით პროკურორის „კანონიერ მოთხოვნას" იცავდა. 1991 წლის 29 ოქტომბერს სწორედ იმის გასარკვევად, თუ რატომ მოხდა მშვიდობიანი აქციის დარბევა, ამოვიდა რაიონის პრეფექტი პროკურატურის შენობასთან და თქვენგან, ბატონო პროკურორო, თქვენს კაბინეტში შესვლამდე მოითხოვდა პასუხს ხალხის თვალწინ და არა პიკეტირების მოსაწყობად, როგორც ეს რესპუბლიკის პროკურატურის მიერ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გაგზავნილ წერილშია მცდარად მოხსენიებული. პრეფექტს კიდევ იმის გარკვევა უნდოდა, თუ რატომ მოატყუეთ იქ შეკრებილი ხალხი, როდესაც უთხარით, რომ ამ აქციის მოწყობის გამო რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კომისია ამოდისო. — „ვინ? ვინაო", — თქვენი თანაგუნდელები რომ დაგეხვივნენ კითხვებით, ყველას გასაგონად უპასუხეთ: „რა ვიცი, ვისაც ზვიადი გამოგზავნისო". რატომ დაგჭირდათ ტყუილი? სინამდვილეში ხომ უზენაესი საბჭოს კომისია კი არა, არამედ საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის „წარმომადგენლები გესტუმრნენ და თქვენც „კომისიასთან" ერთად ორიოდე საათში გაარკვიეთ, რომ დუშეთის რაიონის პრეფექტი სისხლის სამართლის დამნაშავეა.

მივმართავთ რესპუბლიკის პროკურატურას და განვუმარტავთ, რომ ისინი დაეყრდნენ რაიონის პროკურატურისა და მის დასაყრდენ ე. წ. „დამოუკიდებელი დემოკრატიული მოძრაობის" ძალებს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ სამხედრო და სამოქალაქო პუტჩში, კერძოდ, ტელევიზიის წინ მიმდინარე „აქციაში", რომლის დროსაც სასტიკად განადგურდა და დარბეული იქნა ტელევიზია. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რაიონის პროკურორი თავის სამუშაო ოთახში ხელკავით შეაცილა რამდენჯერმე ნასამართლევმა პიროვნებამ, რომელიც თვითონ ბ-ნი პროკურორის მიერ ორჯერ სხვადასხვა დროს იქნა დაპატიმრებული. აღსანიშნავია ისიც, რომ პროკურორის შესვლას კაბინეტში ოვაციებით შეხვდნენ რაიონის სავაჭრო ორგანიზაციების ზოგიერთი ხელმძღვანელიც, რომელთაც ძალიან მფარველობდა და მფარველობს რაიონის პროკურორი. ხომ არაფერი გენიშნათ ძვირფასო მკითხველო? აი ამ ადამიანების ცრუ ჩვენების საფუძველზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ამასთან ერთად რესპუბლიკის პროკურატურა შეიყვანეს შეცდომაში და მიაწოდეს ინფორმაცია, თითქოს მიტინგი უსანქციო იყო. ვფიქრობთ, საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურიდან უნდა გარკვეულიყვნენ საქმის ნამდვილ ვითარებაში და ამის შესახებ პრეფექტურიდან ან ქალაქის საკრებულოდან მიეღოთ ჭეშმარიტი ინფორმაცია, ხოლო რაც შეეხება იმ ფაქტს, თითქოს პრეფექტმა თავი აარიდა რესპუბლიკის პროკურატურის წარმომადგენლებთან შეხვედრას, აღვნიშნავთ, რომ პრეფექტი ამის შესახებ არავის გაუფრთხილებია. პრეფექტურაში დარეკეს მერაბ კოსტავას საზოგადოების წარმომადგენლებმა, მათ დაძახილზე კი უნდა მოგახსენოთ, რომ რაიონის პრეფექტი ასეთი დონის შეხვედრებზე არ დადის, ეს ხომ ის ხალხია, ვინც ოპოზიციონერთა თვალგასახარად ყოველდღე ბატონი პროკურორის კაბინეტში იძლევიან მისთვის მაამებლურ ჩვენებებს!

დუშეთის რაიონის პრეფექტურა და ხელისუფლების მხარდამჭერი პირები, ინტელიგენცია მოვითხოვთ სასწრაფოდ შეწყდეს 1991 წლის 28 ოქტომბერს სანქციონირებული მიტინგის შემდეგ მშვიდობიანი მჯდომარე აქციის მონაწილეთა მიმართ საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურაში აღძრული სისხლის სამართლის საქმე.

გვინდა ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ პროკურატურის შენობის წინ მიმდინარეობდა მშვიდობიანი საპროტესტო მჯდომარე აქცია და არა შენობის პიკეტირება, როგორც ეს პროკურატურის მოკვლევის მასალებშია წარმოჩენილი. ხოლო რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ ღამით პროკურატურის კარს ედო დამატებით ბოქლომი, განვმარტავთ, რომ ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ თვითდაზღვევის მიზნით. პროკურორის მიერ წაქეზებულ კრიმინალებს, ადვილი შესაძლებელია შეეტეხათ პროკურატურის შენობის კარი, დაერბიათ იგი, ხოლო შემდეგ ბატონ ბადრიძის ჩვეული ხელწერით იგი აქციის მონაწილეებს დაბრალდებოდა. დილით დამატებითი საკეტი მოხსნილ იქნა. სწორედ ამ აქციის დროს გამოჩნდა ნამდვილი სახე დუშეთის რაიპროკურატურისა, რომელსაც ბატონი ე. ბადრიძე ხელმძღვანელობს და მისი დამოკიდებულება ეროვნული ხელისუფლების და საერთოდ ეროვნული მოძრაობის მიმართ.

ეროვნული ხელისუფლების დარად დუშეთის რაიონის ხელმძღვანელობა არავის მისცემს უფლებას აბუჩად აიგდოს მშრომელი ხალხის ინტერესები, საკუთარ ინტრიგებში გახვიოს და დესტაბილიზაცია შეიტანოს რაიონის მოსახლეობაში, თუნდაც იგი ლენინის ორდენოსანი პროკურორი იყოს.

დუშეთის რაიონის პრეფექტურა:
ი. ლუდუშაური, თ. ბულაური, ა. ჩოჭური, ი. სონიშვილი, ნ. კირვალიძე და სხვები, სულ 29 ხელმოწერა.

მუშაობენ სალიკვიდაციო კომისიები

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 26 აგვისტოს დადგენილებით, აიკრძალა საქართველოს კომუნისტური პარტია და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი მოქალაქეთა ყველა კომუნისტური გაერთიანება, შეწყდა მათი ორგანოების ფუნქციონირება. ნაციონალიზებულია საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი მოქალაქეთა ყველა კომუნისტური გაერთიანების ქონება და იგი საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად გამოცხადდა.

ამის გამო საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 7 სექტემბრის № 745 განკარგულებით აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში შექმნილია შესაბამისი ადგილობრივი სალიკვიდაციო კომისიები, რომელთა შემადგენლობაში შევიდნენ ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობათა, პრეფექტურების, საკრებულოების, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოთა, იურიდიული კონსულტაციების, არქივების წარმომადგენლები. მიზანშეწონილად ჩაითვალა ამ კომისიებში საფინანსო ორგანოებისა და ბანკის დაწესებულებათა პასუხისმგებელი მუშაკების მონაწილეობა.

ადგილობრივმა სალიკვიდაციო კომისიებმა უნდა უზრუნველყონ ანგარიშსწორება დებიტორებთან და კრედიტორებთან, დაამთავრონ მუშაობა და სალიკვიდაციო საბუღალტრო ბალანსი ახსნა-განმარტებითი ბარათითურთ მიმდინარე წლის 15 დეკემბრამდე წარუდგინონ რესპუბლიკურ სალიკვიდაციო კომისიას, რომელიც შექმნილია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 28 ოქტომბრის № 825 დადგენილებით (ცნობებისათვის მიმართეთ ტელეფონით 93-73-82). დამტკიცებულია აგრეთვე სალიკვიდაციო კომისიების უფლება-მოვალეობათა დებულება.

ამავე დადგენილებით შექმნილია პარტიული არქივების დამუშავების, პრაქტიკული მნიშვნელობის შესწავლისა და ექსპერტიზის ჩატარების კომისია (ცნობებისათვის მიმართეთ ტელეფონით 93-72-84).

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიმდინარე წლის 28 ოქტომბრის № 825 დადგენილება დანართებითურთ დაგზავნილია ადგილებზე. ლიკვიდირებული ორგანიზაციების მუშაკებმა საბოლოო ანგარიშსწორებისათვის უნდა მიმართონ ადგილობრივ შესაბამის სალიკვიდაციო კომისიებს.

საქინფორმი

გალაკტიონი—100

უკვდავების ბინადარი

ასი წლის წინათ, ნოემბრის თვეში, „იმ ღამეს ჰყვიშთან ვერ დიოდა წყნარად რიონი", რადგან... ქვეყნიერებას მოევლინა გალაკტიონი — იგი ვინც იქცა ჩვენს მარადიულ სულიერ თანამგზავრად, მეოცე საუკუნის პოეტური სიტყვის მეუფედ!

გალაკტიონი იმ პოეტთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ: „საუკუნეების განმავლობაში თვლიდნენ სიამაყეს სიკვდილზე უმაღლესად, დიდებას ამა სოფლისას ამაოებად და ახსოვდათ მხოლოდ 'დიდება — მარადისი".

გალაკტიონ ტაბიძეს არ ჰქონდა სხვა ცხოვრება, გარდა ლექსისა და ლექსში ჩადო მან მთელი თავისი ცეცხლი და ნიჭი.

რვა ათეული წელიწადია, რაც ქართველის გულსა და გონებას ატყვევებს და ამშვენიერებს გალაკტიონის პოეტური ხმა:

„ო, უბრალო ხმებისთვის
არასდროს არ შეცვალა,
დაისერა სამყარო
გამოუცნობ წყლულებით"...

ჩვენი საუკუნის ქართული პოეზია სავსეა გალაკტიონის მაღალი ხმით, ლექსი-მირონით, მზედ დგას გალაკტიონი!

„გალაკტიონისათვის ლექსი აზრის გამოსახატავი ფორმა კი არ იყო, არამედ ის პირდაპირ ლექსით აზროვნებდა, ისევე, როგორც მხატვარი — ფერით და მოქანდაკე — თიხით. გალაკტიონ ტაბიძის ლექსებს იმ საგნების მაგიური მიმზიდველობა აქვთ, რომლებიც მთელი სიცოცხლის მანძილზე გიხმობენ ამოსაცნობად" — წერს ბატონი თამაზ ჭილაძე.

— ჭეშმარიტად, გალაკტიონი უკვდავების ბინადარია, მისი პოეტური მზე საუკუნეების მანძილზე გაამდიდრებს და აამაღლებს ადამიანთა სულებს, ექცევა მწედ და სულიერი სიმშვიდის ნავსაყუდელად...

გიორგი ლალიაშვილი.

შევარდნაძის პენიტენციარული სისტემა საქართველოში

III. უარყოფა შეთითხნილი ბრალდებისა: „სახელმწიფო ქონების დატაცება"

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 96 მუხლს იმ პირს შეუფარდებენ ხოლმე, ვინც სახელმწიფო ქონება განსაკუთრებით მსხვილი ოდენობით დაიტაცა. რა საფუძველზე შემიფარდეს ეს მუხლი მე?

ვამბობ, რომ ყოვლად არაობიექტურად, რადგან არავითარი დატაცება არ ჩამიდენია და არც მასში მონაწილეობა არ მიმიღია.

ამ ჩემი ნათქვამის დასაცავად ქვემოთ მომყავს ჩემი უდანაშაულობის ფაქტები.

ა. უარყოფა მსჯავრდადებულ ტორონიშვილის ჩვენებებისა, იმ ტორონიშვილისა, რომელმაც ცილი დაგვწამა მეც და სხვებსაც.

თბილისის სინთეტიკური ნაწარმის ფაბრიკის №1 საამქროს უფროსი ამჟამად მსჯავრდადებული დავით ილიას ძე ტორონიშვილი ამხილეს, რომ 1297 კგ დიბუტილფტოლატის დანაკლისი ჰქონდა და გადამალა 300 კგ კაპრონის მკედი.

1970 წლის 15 აპრილს დაჰკითხეს ტორონიშვილი. მან 1297 კგ დიბუტილფტოლატის დანაკლისი ასე ახსნა: „პროდუქციის დასამზადებლად დიბუტილფტოლატის მოთხოვნილება ზამთრობით მეტია, ვიდრე ზაფხულობით. ფაბრიკაში ჩვენ მარტო ზაფხულის ნორმა გვქონდა.

ზამთარში დიბუტილფტოლატი ნორმის მიხედვით ჩამოეწერა, თუმცა ფაქტობრივად მეტი გვქონდა დახარჯული და ამიტომ გამომივიდა დანაკლისიო" (გთხოვთ იხ. ტ. 2, საქმის ფ. 44). კაპრონის მკედის გადამალვა ასე ახსნა: „კაპრონის მკედი მე არ მომიპარავს. მე ის ფაბრიკის ტერიტორიაზე ტრანსფორმატორის ჯიხურის ქვეშ შევინახე. თუ როდისმე გადახარჯვა მექნებოდა, ამით შევავსებდი" (გთხოვთ იხ. ტ. 2, საქმის ფ. 18-21).

ტორონიშვილი მე მაბრალებს: „ფაბრიკის მთავარ ინჟინერს მაცაბერიძეს რომ ნედლეულის ხარჯვის ნორმები არ შეემცირებინა, გადახარჯვა და დიბუტილფტოლატის დანაკლისი არ მექნებოდაო".

ტორონიშვილი უკმაყოფილო იყო ჩემი მუშაობით, ხშირად მეკამათებოდა, მეწინააღმდეგებოდა იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რომ მოგვარებულიყო ნედლეულის ხარჯვის, გამომუშავების და გამოშვებული პროდუქციის ფასდების ნორმები, კერძოდ: შემცირებულიყო ისეთი ნაწარმის ნედლეულის ხარჯვის გაბერილი საცდელი ნორმები და ფასდება, როგორიც არის ხაოიანი გობელენი, პოლიქლორვინილის ლაბადა, სუფრა, გარდეროობის შალითა, პოლიქლორვინილის აფსკის და სხვა ნაწარმის დამზადება და გადამუშავება.

ტორონიშვილი ფაბრიკის დირექტორის წინაშე სვამდა საკითხს, გადასინჯული შემცირებული ნორმებით მუშაობა შეუძლებელიაო და უარს ამბობდა სამუშაოზე. ნიადაგ მიხდებოდა სამუშაოსთვის მომეწყვიტა თანამშრომელი, რათა ხელმეორედ შემემოწმებინა და გაანგარიშებებითა და დაკვირვებებით დამემტკიცებინა ნედლეულის ხარჯვისა და ფასდების გადასინჯული ნორმების სისწორე, რის გამოც ტორონიშვილი ფაბრიკის დირექტორისაგან შენიშვნებს და გაფრთხილებებს იღებდა.

წინასწარი გამოძიების პროცესში გამომძიებლებმა ტორონიშვილი ჩემს წინააღმდეგ წააქეზეს, ვითომდა მისი დაპატიმრების მიზეზი მე ვყოფილიყავი, ემუქრებოდნენ, სიკვდილით დაგსჯითო, აშინებდნენ და არწმუნებდნენ, რომ თუ ცილს დამწამებდა, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის შეღავათიან 38-ე და 45-ე მუხლებს შეუფარდებდნენ და ისრაელს გამგზავრებაში დაეხმარებოდნენ.

გამომძიებლები რომ რაღაცრაღაცებს ჰპირდებოდნენ და მის დაყოლიებას ცდილობდნენ, ამაზე ტორონიშვილს სასამართლო პროცესის დროს სიტყვა წამოცდა (გთხოვთ იხილოთ ჩემი წერილობითი ჩვენება და დაცვითი სიტყვა სასამართლოზე). გაბოროტებული, დაშინებული და დაყოლიებული ტორონიშვილი 1970 წლის 1 ივნისს ცვლის თავისი 1970 წლის 15 აპრილის ჩვენებებს და ჩემთან პირში წაყენების დროს ასეთ ჩვენებას აძლევს ძიებას: „1969 წლის იანვარში ჩვენ, შვიდმა ამხანაგმა: მე, ფაბრიკის დისპეტჩერმა განგიამ, №1 საამქროს ოსტატმა ვოსკობოინიკოვმა, ამავე საამქროს წუნმდებლებმა ლეზგიშვილმა და პოპიაშვილმა და №1 საამქროს მუშებმა კანტერმა და ფარლაგიშვილმა მოვილაპარაკეთ, რომ დავზოგავდით ნედლეულს და ნედლეულის ამ უკანონო დანაზოგიდან გამოვუშვებდით და გავასაღებდით აღურიცხავ პროდუქციას, ხოლო გასაღებული აღურიცხავი პროდუქციის თანხიდან მთავარ ინჟინერს მაცაბერიძეს ყოველთვიურად მივცემდით 300 მანეთს. 1969 წლის იანვრიდან ნოემბრამდე ჩათვლით მე, ხოლო ზოგჯერ ფაბრიკის დისპეტჩერი განგია ყოველთვიურად ვაძლევდით მთავარ ინჟინერ მაცაბერიძეს 300-300 მანეთს, რადგან უკანონოდ დაზოგილი ნედლეულის ამბავი მარტო მან იცოდა" (გთხოვთ იხ. ტ. 1, საქმის ფ. 134-138).

ტორონიშვილის ჩვენებას არავინ არ ადასტურებს. წინა ჩვენებაში ტორონიშვილი ამბობდა, ნედლეულის ხარჯვის ნორმა დაბალი იყო და ამიტომ მქონდა ნედლეულის გადახარჯვაო, ხოლო მას მერე, რაც დააშინეს, სიკვდილით დაგსჯითო, და დაიყოლიეს, მან დიამეტრულად შეცვალა თავისი ჩვენება და განაცხადა: „ნედლეულს ვზოგავდი და ნედლეულის ამ უკანონო დანაზოგიდან აღურიცხავ პროდუქციას ვუშვებდიო".

ფაბრიკაში ნედლეულის ჩამოწერა ხდებოდა ფაქტობრივი დანახარჯის მიხედვით, რის საფუძველზეც ყოველწლიურად გადავსინჯავდით და ვადგენდით გამოშვებული პროდუქციის დასამზადებლად საჭირო ნედლეულის ხარჯვის რეალურ ნორმებს. 1970 წლის 1 ივნისს, როცა ტორონიშვილი პირში წამიყენეს, მისი ჩვენების სიცრუის დასამტკიცებლად ვითხოვე, შეამოწმეთ ფაბრიკის გამოშვებული პროდუქციის ნედლეულის ხარჯვა და ჩამოწერა და პირში წამიყენეთ ტორონიშვილის „ამხანაგები"-მეთქი.

ამის მერე ტორონიშვილი ერთხელ კიდევ ცვლის თავის ჩვენებებს და ცილს სწამებს ფაბრიკის დირექტორს ჭეიშვილს (გთხოვთ იხ. ტ. 2, საქმის ფ. 63).

ფაბრიკაში ნედლეულის ხარჯვის და ჩამოწერის შემოწმებით გამოირკვა, რომ ნედლეულის არავითარი უკანონო დაზოგვა არ ხდებოდა.

ბრალდების ჩავარდნით შეფიქრიანებულმა გამომძიებლებმა კვლავ დაიყოლიეს ტორონიშვილი შეეცვალა ცილისწამების ვერსია. და აი, პირველი ცილისწამებლური ჩვენებიდან ერთი წლის მერე ტორონიშვილი ისევ ცვლის ჩვენებას და 1971 წლის 2 აპრილს ჩემთან ხელახლა პირში წაყენების დროს ძიებას აძლევს ასეთ ჩვენებას: „1968 წლის იანვარში, ჩვენ, შვიდმა ამხანაგმა: მე, განგიამ, ვოსკობოინიკოვმა, პოპიაშვილმა, ლეზგიშვილმა, კანტერმა და ფარლაგიშვილმა მოვილაპარაკეთ, რომ გამოვუშვებდით და გავასაღებდით აღურიცხავ პროდუქციას. მე და ფაბრიკის დისპეტჩერმა ჭეიშვილმა მოვილაპარაკეთ, რომ თბილისის სინთეტიკური ნაწარმის ფაბრიკის მთავარ ინჟინერ მაცაბერიძესაც და მზა პროდუქციის საწყობის გამგე ბალდასაროვსაც ფიქტიური ზედნადებების ხელმოწერისათვის ყოველთვიურად მივცემდით ფულს. მას მერე, რაც ისინი დაგვთანხმდნენ, შევუდექით აღურიცხავი პროდუქციის გამოშვებას, რისთვისაც ვყიდულობდით პოლიქლორვინილის იაფ ნაკეთობებს, გარდეროობის შალითებს და სუფრებს. მათგან ვკერავდით პოლიქლორვინილის ლაბადებს და ვასაღებდით. გასაღებული აღურიცხავი პროდუქციის თანხიდან 1968 წლის იანვრიდან 1969 წლის ნოემბრის ჩათვლით ფაბრიკის დირექტორს ჭეიშვილს და მთავარ ინჟინერს მაცაბერიძეს ყოველთვიურად ვაძლევდით 1000-1000 მანეთს, ხოლო მზა პროდუქციის საწყობის გამგეს ბალდასაროვს — 100-100 მანეთს.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველოს რესპუბლიკა" №№202, 203, 206, 217-218, 219, 222, 223-224.

გამოხმაურება

მეტი სიზუსტისათვის

გულწრფელი მადლობა მსურს მოვახსენო ქ-ნ მანანა ხომერიკს, რომელიც თურმე ასეთი ყურადღებით ადევნებს თვალს ჩემს ყოველ ტელეგამოსვლას, მაგრამ კიდევ უფრო მადლობელი დავრჩებოდი, რომ მეტი კეთილმოსურნეობა გამოეჩინა და სათაურში — „ერთი სატელევიზიო გადაცემის გამო" (იხ. „საქართველოს რესპუბლიკა", 14. XI. 91) არ დაეშვა უზუსტობა: ა. წ. 10 ნოემბერს პროგრამა „მოამბეში" შეტანილი მცირე სიუჟეტი არ გახლავთ სატელევიზიო გადაცემა. ეს კარგად მოეხსენება ქ-ნ მ. ხომერიკს და ეს ფაქტი არ უნდა დაემალა არც რედაქციისათვის და არც მკითხველისათვის! მით უმეტეს, რომ ჩემს გამოსვლაში საგანგებოდ გავაფრთხილე ტელემაყურებელი (მათ შორის, თავი უნდა ეგულისხმა ქ-ნ მანანა ხომერიკსაც!), რომ ამ დღეებში ვუჩვენებდი ცალკე ტელეგადაცემას ესპანეთში მცხოვრებ ბაგრატიონებისა და რომანოვების ოჯახებზე (ჩემს ამ განცხადებას დაადასტურებს მილიონობით ტელემაყურებელი!). მაგრამ, სამწუხაროდ, ქ-ნი მ. ხომერიკი არ დალოდებია ჩემს დაპირებულ სატელევიზიო გადაცემას, (რომელიც უკვე მზად მაქვს და ამ დღეებში ვუჩვენებ საქართველოს ტელევიზიით).

ახლა ჩემი კეთილისმყოფელი მსმენელის საქმიან შენიშვნებსაც შევეხოთ: როცა იგი „1989 წლის ზაფხულის გადაცემაში დაშვებულ მცირე უზუსტობაზე (ჰოჰენცოლერნი თუ ჰაბსბურგი) საუბრობს, ობიექტურობის გულისთვის იქნებ აჯობებდა, რომ მას 1991 წელს გამოცემული ჩემი წიგნიც „უცხოეთის ცის ქვეშ" მიეთითებინა, რომელშიც ამ საკითხზე დაბეჭდილ წერილში ეს „მცირე უზუსტობა" არ არის დაშვებული! ან კიდევ, განა შეიძლება სერიოზულად ვიკამათოთ იმაზე, რომ როდესაც მე გიორგი რომანოვს (მამით ჰოჰენცოლერნს, დიდედით — ბაგრატიონს) ვთვლი რუსეთის ტახტის მომავალ მემკვიდრედ, ამ შემთხვევაში ვგულისხმობდი, რომ სწორედ გიორგი რომანოვია ამ გვარის გამგრძელებელი, როგორც მამაკაცი. „მოამბით" შეზღუდული დროის მიუხედავად, ხომ ვთქვი, რომ სწორედ ამ მიზნით დაიბრუნეს პაპამ და დიდედამ გიორგი და მისცეს რომანოვის გვარი, რათა გაეგრძელებინა რუსეთის ტახტის მემკვიდრეთა დინასტია. ვლადიმერ კირილეს ძის ერთადერთი ასული 16 წლის მარია რომანოვა 1969 წელს იმიტომ გამოცხადდა რუსეთის ტახტის მემკვიდრედ, რომ იგი ჯერ გათხოვილი არ იყო (პრუსიის პრინც ფრანც ვილჰელმ ჰოჰენცოლერნზე დაქორწინდა 1976 წელს) და მას ჯერ არ ჰყავდა ვაჟი — გიორგი ჰოჰენცოლერნი-რომანოვი (იგი 1981 წელს დაიბადა), თორემ ახლა რომ ეს საკითხი დადგეს, განა გიორგი რომანოვს არ მიენიჭება უპირატესობა? აბა, რისთვის, რა მიზნით მოიყვანეს გიორგი ჰოჰენცოლერნი რომანოვებმა სახლში და რისთვის მისცა ვლადიმერ კირილეს ძემ მას თავისი გვარი? აბა, რისთვის წერდა თვით ქ-ნი მ. ხომერიკი თავის ადრინდელ პუბლიკაციაში: „1981 წელს რომანოვებს დინასტიის გამგრძობი შეეძინათ — გიორგი მიხეილის ძე რომანოვი, რომლის ძარღვებში ქართული სისხლიც ჩქეფს" (იხ. „სახალხო განათლება" (1. II. 90), ხოლო მარია რომანოვას იგნორირება ჩვენ არც გვიცდია და ნურც ნურავითარ „ცოტა უხერხულობას" გვაბრალებს პატივცემული ქალბატონი. რაც შეეხება ლეონიდა გიორგის ასულ ბაგრატიონისა და ვლადიმერ კირილეს ძე რომანოვის 1948 წელს (და არა 1946 წელს) დაქორწინებას, მე ჩვენს ტელემაყურებელს ვუჩვენე მათი სურათის დედანდოკუმენტი, რომელზედაც 1948 წელი წერია (აღნიშნულ დოკუმენტს რედაქციას ვუდგენ!) და თუ მაინც ზეპირ მეტყველებაში 1948 წლის მაგივრად უნებლიედ 1946 წელი გაიპარა, ამისათვის, ყველას წინაშე მდაბლად ვხრი თავს.

საერთოდ კი მეტი სიზუსტისათვის უნდა შევნიშნო, რომ ჩემი ა. წ. 10 ნოემბრის ტელეგამოსვლის (და არა ტელეგადაცემის) მთავარი პათოსი ის გახლდათ, რომ იწურებოდა სანქტ-პეტერბურგში დიდი მთავრის ვლადიმერ კირილეს ძე რომანოვის ვიზიტის ვადა (მართლაც, მეორე თუ მესამე დღეს იგი გაფრინდა კიდეც), ხოლო როგორც საკავშირო, ისე რუსეთის ტელევიზიები ან სულ არა, ან კიდევ ყრუდ და მორცხვად უთითებდნენ იმ ფაქტს, რომ მას ახლდა ქართველი მეუღლე — საქართველოს სამეფო გვარის წარმომადგენელი ლეონიდა გიორგის ასული ბაგრატიონი. და მე სწორედ ამ ფრაზით დავიწყე ჩემი გამოსვლა, რათა კიდევ ერთხელ მეჩვენებინა რუსული შოვინიზმის ბუნება და ყოველივე ქართულის იგნორირების მცდელობა.

გურამ შარაძე

15. XI. 91.

ს. თ. ცინცაძის დამკრძალავი კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 19 და 20 ნოემბერს, 19 საათზე, განსვენებულის ბინაში — საბურთალოს ქუჩა №40.

გამოსვენება 21 ნოემბერს, 14 საათზე, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიიდან. დაკრძალვა — დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

საქართველოს ყოფილი კომპარტიის ლიკვიდირებულ ორგანიზაციათა კრედიტორების საყურადღებოდ!

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის 1991 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულების, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 28 აგვისტოს დადგენილებების შესასრულებლად ყოფილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კრედიტორების პრეტენზიების წარმოდგენის ვადა მთავრდება რესპუბლიკურ სალიკვიდაციო კომისიაში 20 ნოემბერს.

მისამართი: ქ. თბილისი, 9 აპრილის ქ. № 2, ტელ.: 93-41-49, 93-73-82.

რესპუბლიკური სალიკვიდაციო კომისია.

გამოიწერეთ გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა

იგი გაისადაც კვირაში ხუთჯერ გამოვა

მთელი წლით ღირს 26 მანეთი და 76 კაპიკი, ექვსი თვით—13 მანეთი და 38 კაპიკი,
სამი თვით—6 მანეთი და 69 კაპიკი, ერთი თვით—2 მანეთი და 23 კაპიკი

აქვე შეგახსენებთ, რომ ხელმოწერა ორჯერ უფრო იაფი დაგიჯდებათ, რადგან ჯიხურებში გაზეთის ერთი ეგზემპლარი 20 კაპიკი ეღირება.
ჩვენი ინდექსია 66434.

მთავარი რედაქტორი მარიკა ახაიშვილი

მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14,
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;
წერილების რედაქცია 99-73-24.
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. № 29.
ინდექსი 66434.

XI